


# კლადოგამოვლილი ქალბისთვის გზარდამჭერი სერვისები და გეჟანიზმები საქართველოში


საჭიროებების და გამონვევების ანალიზი



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდამჭერი სერვისები  
და მექანიზმები საქართველოში

საჭიროებების და გამოწვევების ანალიზი



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

კვლევა მომზადდა პროექტის “ლგბტი პირთა უფლებების გაძლიერება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივისტთა მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელსაც სოციალური სამართლიანობის ცენტრი „შვედური ასოციაცია სექსუალური განათლებისთვის“ (RFSU) მხარდაჭერით ახორციელებს.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა ის არ გამოხატავდეს ასოციაციის „შვედური ასოციაცია სექსუალური განათლებისთვის“ პოზიციას.

**ხელმძღვანელი:** თამთა მიქელაძე

**ავტორი:** ანი გოგბერაშვილი

**რედაქტორი:** ნინო ბექიშვილი

**ყდის დიზაინი:** სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

**ციტირების წესი:** *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ანი გოგბერაშვილი, „ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდაჭერი სერვისები და მექანიზმები საქართველოში - საჭიროებების და გამოწვევების ანალიზი“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

**მისამართი:** ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

**ტელ:** +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

## სარჩევი

შესავალი/კონტექსტის მიმოხილვა .....	4
კვლევის მიზანი და ამოცანები .....	5
მეთოდოლოგია.....	6
მონაცემთა ანალიზი.....	7
სახელმწიფო სერვისები .....	7
კრიზისული ცენტრები.....	7
თავშესაფრები .....	13
ცხელი ხაზი.....	21
არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისები .....	23
სამართლებრივი მექანიზმები .....	29
შემაკავებელი და დამცავი ორდერი .....	29
მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.....	34
მსხვერპლის გრძელვადიანი გაძლიერება .....	37
დასკვნები და რეკომენდაციები.....	40
გამოყენებული წყაროები.....	42

## შესავალი/კონტექსტის მიმოხილვა

ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებასა და პრევენციისთვის პირველი ნაბიჯი 2006 წელს ოჯახში ძალადობის ეროვნული კანონის მიღება იყო, რასაც სხვა მნიშვნელოვანი რეაგირებისა და დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბება მოჰყვა. 2010 წელს გაიხსნა პირველი თავშესაფარი და ამოქმედდა სატელეფონო ცხელი ხაზი ძალადობის მსხვერპლთათვის. 2012 წელს ოჯახში ძალადობა სისხლის სამართლის დანაშაულად იქნა მიჩნეული, ხოლო 2017 წელს მოხდა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება. 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი. 2019 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2021, გვ. 71).

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ძალადობის მსხვერპლთა მრავალფეროვანი საჭიროებების საპასუხოდ უზრუნველყოს სერვისების ფართო სპექტრი, რაც ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად გულისხმობს სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს, სამედიცინო და სოციალურ მომსახურებებს, ფინანსურ დახმარებას, თავშესაფარს, განათლებას და სამუშაოს ძიებაში დახმარებას. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ დაამყაროს ეფექტური უწყებათაშორისი თანამშრომლობა ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და მხარდასაჭერად. ეს გულისხმობს სასამართლო სისტემის, პროკურატურის, სამართალდამცავი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების/ორგანოების მიერ კოორდინირებულ მუშაობას მსხვერპლის ინტერესებიდან გამომდინარე (ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 18). კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მოახდინოს რეაგირება მულტისექტორული და მრავალუწყებრივი ინტერვენციების გზით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია “ერთი ფანჯრის პრინციპით” სერვისების მისაღებად ( GREVIO , 2022, გვ. 54). “ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლის/დაზარალებულის დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმა გულისხმობდა ეროვნული რეფორმების მექანიზმის შექმნას. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) საბაზისო შეფასების ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული პროცედურები მომზადდა, თუმცა არ დამტკიცებულა, რაც ეფექტურ კოორდინაციასა და თანამშრომლობას უშლის ხელს (იქვე, გვ.41). მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, დღეს ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილ სერვისებსა და დაცვის მექანიზმებზე წვდომის მხრივ უამრავი გამოწვევა არსებობს, რასაც წინამდებარე კვლევის ანგარიშში შევხებით.

კვლევის მიგნებებიდან ჩანს, რომ ხშირად ძალადობის მსხვერპლებს სახელმწიფო სერვისების ნაკლები ნდობა აქვთ რეტრავმატიზაციის საფრთხის გამო. ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის გამართვისთვის და ადეკვატური სერვისების შექმნისთვის აუცილებელია ტრავმა-ინფორმირებული [trauma-informed] ზრუნვის პრინციპების დანერგვა. ეს მიდგომა გულისხმობს სერვისის მიმწოდებლების მაქსიმალურ ინფორმირებას ტრავმის გავლენებისა და მანიფესტაციის გზების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სერვისის მიმღებსა და გამცემს შორის ნდობის დამყარებას და ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ

ძალადობის მსხვერპლები აქტიურად იყვნენ ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და სერვისის მიმწოდებლები პატივს სცემდნენ მათ ავტონომიას. მნიშვნელოვანია კულტურული სენსიტიურობის ასპექტიც, რაც სხვადასხვა კულტურული მიკუთვნებულობისა და იდენტობების მქონე ქალების გამოცდილებების გათვალისწინებას გულისხმობს. ტრავმა-ინფორმირებულ ზრუნვას ფოკუსი გადააქვს მსხვერპლის ძლიერ მხარეებზე და ერიდება მისი მდგომარეობის პათოლოგიზებას, რაც რეტრავმატიზაციის რისკსაც ამცირებს (Elliot, Bjelajac, Fallot, Markoff, & Reed, 2005). ამ პრინციპების დანერგვა გაზრდის მხარდამჭერი სისტემის ეფექტურობას სერვისების მიწოდების მხრივ. კვლევის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციები სწორედ ამ მიდგომებით ხელმძღვანელობენ, რის გამოც ძალადობაგამოვლილი ქალებისგან მეტ ნდობას იმსახურებენ.

ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის საქართველოში ფუნქციონირებს დაცვისა და მხარდაჭერის ისეთი სახელმწიფო სერვისები და სამართლებრივი მექანიზმები, როგორებიცაა თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, 112 - ერთიანი გადაუდებელი რეაგირების ნომერი, 112-ის მობილური აპლიკაცია, 116 06 საკონსულტაციო სატელეფონო ცხელი ხაზი, შემაკავებელი და დამცავი ორდერები, მოძალადის ელექტრონული მონიტორინგის მექანიზმი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში. გარდა ამისა, სერვისის მნიშვნელოვანი მიმწოდებლები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლებს სთავაზობენ თავშესაფრის, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, იურისტის, სამედიცინო და სხვა სერვისებს საჭიროების მიხედვით. წინამდებარე კვლევაში განვიხილავთ თითოეულ სერვისსა და მექანიზმს, ამ კუთხით გადადგმულ ნაბიჯებსა და არსებულ გამოწვევებს.

### კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების კვლევა სერვისის მიმწოდებელი (სახელმწიფო და არასამთავრობო) ორგანიზაციების წარმომადგენლების პერსპექტივიდან.

კვლევის კონკრეტული ამოცანებია:

- ძალადობის მსხვერპლთათვის ამჟამად მისაწვდომი სერვისების იდენტიფიცირება და მათი მისაწვდომობის შეფასება გეოგრაფიული, კულტურული, ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით;
- უშუალოდ სერვისის მიმწოდებელი პირების აქტუებისა და დამოკიდებულებების კვლევა არსებული სერვისების ეფექტურობასთან და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით;
- სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს/უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის პრაქტიკის შესწავლა;
- რესურსების განაწილების შეფასება არსებულ სერვისებში როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსების მხრივ.



## მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა ოთხ ეტაპად: საწყისი, სამაგიდო კვლევის ეტაპი, სავლე სამუშაოების ეტაპი და ანალიზის ეტაპი. (1) საწყის ეტაპზე მკვლევარმა შეიმუშავა კვლევის დეტალური მეთოდოლოგია და დაუკავშირდა კვლევის პოტენციურ რესპონდენტებს; (2) სამაგიდო კვლევის ეტაპზე მკვლევარმა გააანალიზა საკითხთან დაკავშირებული კვლევები, პოლიტიკის დოკუმენტები და საკანონმდებლო ბაზა; (3) სავლე სამუშაოების დროს მკვლევარმა მიმართა თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კერძოდ მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენა ექსპერტული ინტერვიუს მეთოდი. მონაცემების შესაგროვებლად, კვლევის ამოცანების შესაბამისად შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი. სავლე სამუშაოები ჩატარდა 2023 წლის მაისი-ივლისის პერიოდში, როგორც პირისპირ შეხვედრების, ისე ონლაინ პლატფორმების გამოყენებით.

სერვისებთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა, რის საფუძველზეც მოხდა სერვისების კუთხით არსებული გამოწვევების სხვადასხვა განზომილების შესწავლა. ამგვარი მიდგომა გამოყენებულ იქნა კვლევის ყველა ეტაპზე, რაც შემდეგი საკითხების გათვალისწინებას მოითხოვს: ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოების და კეთილდღეობის პრიორიტეტად ქცევას; მისთვის ღირსეული გარემოს უზრუნველყოფას; სერვისის გამცემების, სხვადასხვა უწყების და სფეროს სპეციალისტების თანამშრომლობას და კოორდინაციას მყარი მხარდამჭერი ქსელის შესაქმნელად (EIGE, 2023); ტრავმა-ინფორმირებულ ზრუნვას, რაც გულისხმობს დამატებითი ზომების მიღებას სერვისის მიწოდების თითოეულ ეტაპზე მსხვერპლის რეტრავმატიზაციის და რევიქტიმიზაციის თავიდან არიდების მიზნით (Phillips, Lyon, Fabri, & Warshaw, 2015), და ისეთი სერვისების შექმნას, რაც მის ემოციურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

### შერჩევა:

მკვლევარმა კვლევის მონაწილეების შესარჩევად მიზნობრივი მეთოდი გამოიყენა, რაც გულისხმობს კვლევის მონაწილეების სპეციფიკური კომპეტენციისა და მანასიათებლების მიხედვით შერჩევას და მათთან დაკავშირებას. კვლევის მონაწილეებად შეირჩინენ პირები, ვინც უშუალოდ არიან ჩართულები ოჯახში ძალადობის/ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლების მხარდაჭერის პროცესსა და სხვადასხვა სერვისის მიწოდებაში. ექსპერტული ინტერვიუები ჩატარდა როგორც არასამთავრობო სექტორის, ისე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან – ჯამში ჩატარდა 14 ექსპერტული ინტერვიუ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთან, რომელსაც უშუალო შეხება აქვს მხარდაჭერის მექანიზმებთან და სერვისებთან და ფლობს ინფორმაციას ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში, როგორებიც არიან ეკონომიკურად მოწყვლადი ქალები, ლგბტქ ჯგუფის წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და არადომინანტი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალები. ექსპერტული ინტერვიუები ჩატარდა სერვისის მიწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების, არასამთავრობო და სახელმწიფო კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების ხელმძღვანელებთან, ასევე, პროკურატურის წარმომადგენელთან.

### მონაცემთა ანალიზი:

ამ ეტაპზე მკვლევარმა გააანალიზა შეგროვებული მონაცემები და გააერთიანა სამაგიდე კვლევის შედეგებთან. ინტერვიუების თემატური ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტერსექციურ ხედვას და იმას, თუ როგორ განსაზღვრავენ სოციო-ეკონომიკური ფაქტორები, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობები და ეთნიკური კუთვნილება სერვისებთან დაკავშირებულ გამოცდილებებს და ძალადობის მსხვერპლის რეაბილიტაციის გრძელვადიან პერსპექტივას.

### ეთიკური საკითხები:

კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეთიკურ პრინციპებს. კვლევაში მონაწილეობამდე, ყველა რესპონდენტისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა. კვლევის მონაწილეებს ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია კვლევისა და ინტერვიუს მიზნების შესახებ. რესპონდენტებმა იცოდნენ, რომ კვლევის პროცესიდან გამოთიშვა შეეძლოთ ნებისმიერ დროს. მკვლევარმა რესპონდენტების თანხმობით გააკეთა ინტერვიუების ჩანაწერები. მკვლევარი რესპონდენტების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით არ ასახელებს მათ სახელებს, გვარებს და კონკრეტულ ორგანიზაციებს, სადაც ისინი არიან დასაქმებულები.

### კვლევის შეზღუდვები:

კვლევის მასშტაბიდან და დროითი შეზღუდვიდან გამომდინარე, რესპონდენტების რაოდენობა ლიმიტირებული იყო და ვერ მოხერხდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სერვისების კუთხით არსებული სპეციფიკის შესწავლა.

კვლევა თავდაპირველად ითვალისწინებდა ბენეფიციარების გამოცდილებების შესწავლასაც, თუმცა, მათთან დაკავშირება შეზღუდულ დროში პრობლემური აღმოჩნდა რეტრავმატიზაციის რისკიდან გამომდინარე.

### სახელმწიფო სერვისები (მონაცემთა ანალიზი)

#### კრიზისული ცენტრები

საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის პირველი კრიზისული ცენტრი 2016 წელს, თბილისში გაიხსნა. 2010-2016 წლებში ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა ძალადობის მსხვერპლთა პირველი ოთხი თავშესაფარი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი – 116 06. 2016 წლამდე საქართველოში არ არსებობდა სახელმწიფო კრიზისული ცენტრი, რომელიც დაზარალებულებსა და მსხვერპლებს უფასო სერვისებს შესთავაზებდა ( UN Women, 2016). **თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის**



**ხელმძღვანელის თქმით, დღესდღეობით სახელმწიფოს ბაზაზე ფუნქციონირებს შვიდი კრიზისული ცენტრი და ხუთი თავშესაფარი.**

აღსანიშნავია, რომ კრიზისული ცენტრები, ისევე, როგორც თავშესაფრები და ძალადობის მსხვერპლთა ცხელი ხაზი, შეიქმნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით, თუმცა დღესდღეობით ყველა ეს დაწესებულება სახელმწიფოს დაფინანსებით განაგრძობს მუშაობას. კრიზისული ცენტრების ადგილებია: თბილისი, ქუთაისი, გორი, მარნეული, ოზურგეთი, ზუგდიდი და თელავი (სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, 2023). ზუგდიდისა და თელავის კრიზისული ცენტრები 2019 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი - სახლისა“ და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის შედეგად გაიხსნა, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. 2021 წლიდან კრიზისულ ცენტრებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტები აფინანსებს.

*თუ გადავავლებთ 2006 წლიდან დღემდე მოვლენებს თვალს, 2006 წლიდან მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის იყო თავშესაფრები და სერვისები. 2009 წელს დაგვევალა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა/დახმარება. 2012 წელს მოხდა კრიმინალიზება ძალადობის და განდა სისხლის სამართლებრივად დასჯადი და შემოვიდა ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა/დახმარება. 2016 წელს კრიზისული ცენტრები გახსენით. პირველი იყო თბილისის კრიზისული ცენტრი, იმიტომ რომ მაღალი იყო მომართვიანობა. დავამატეთ 6 კრიზისული ცენტრი (თბილისის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი).*

ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში ჩარიცხვას ექვემდებარება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული/სავარაუდო მსხვერპლი მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად (სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, 2023). კრიზისული ცენტრი ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს/სავარაუდო მსხვერპლს სთავაზობს შემდეგ სერვისებს: ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება და მიღება, სამართლებრივი დახმარება, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურება. კრიზისულმა ცენტრმა, შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში სხვა ტიპის მომსახურებაც გასცეს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ თბილისის კრიზისული ცენტრი ითავსებს სადღეღამისო საცხოვრის ფუნქციას. სხვა შემთხვევაში, კრიზისული ცენტრები გასცემენ დღის მომსახურებებს სამუშაო საათებში (9-იდან 6 საათამდე).

*თბილისის კრიზისული ცენტრი განსხვავდება, რადგან 24-საათიანი მომსახურებაა. კრიზისული ცენტრი (თბილისში) მოიცავს თავშესაფრის ფუნქციასაც. ჩვენ ვართ ერთადერთი კრიზისული ცენტრი, რომელიც 24-საათიანი მომსახურებას აწვდის (თბილისის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი).*

რესპონდენტების თანახმად, კრიზისული ცენტრების მომსახურება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, რადგან მისი სერვისებით სარგებლობისთვის არაა საჭირო მსხვერპლის სტატუსი, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო ორგანო ან

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი გასცემს. ასევე არაა აუცილებელი დაზარალებულად ცნობა სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ. კრიზისული ცენტრის მომსახურება მისაწვდომია სავარაუდო მსხვერპლისთვისაც, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი. კრიზისული ცენტრის თანამშრომლებს ევალებათ სპეციალური კითხვარის საფუძველზე დაადგინონ ძალადობის სავარაუდო ფაქტი. ეს შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა, უგულვებლყოფა, იძულება და ადამიანით ვაჭრობის სავარაუდო ფაქტი.

*ჩვენმა დაწესებულებებმა მოხსნა ბარიერები, რაც სავარაუდო ან პოტენციურ მსხვერპლებს სტატუსის გარეშე კონსულტირებასა შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ გაწეული სერვისის მიღებაში უშლიდა ხელს (თბილისის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი).*

როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა, კრიზისული ცენტრის მიდგომა ძალადობის მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა საჭიროებებისადმი ყოვლისმომცველი და მრავალმხრივია. სხვადასხვა სერვისების შეთავაზებით, მათ შორის ფსიქო-სოციალური, სამედიცინო, იურიდიული, თავშესაფარი – ცენტრი ხაზს უსვამს მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესის კომპლექსურობას. გარდა ამისა, ცენტრის პოლიტიკა, არ მოითხოვს ოფიციალური მსხვერპლის სტატუსი სერვისებზე წვდომის წინაპირობად, აღმოფხვრის პოტენციურ ბარიერებს, რომელთა წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდნენ ძალადობის მსხვერპლები შესაბამისი დახმარების ძიებისას. აღნიშნული პოლიტიკა პატივს სცემს სერვისის მაძიებელთა ავტონომიას და აღიარებს, რომ გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა მსხვერპლმა ყველაზე უკეთესად შეძლოს საკუთარი მდგომარეობის, სტატუსის შეფასება. კრიზისული ცენტრის მიერ სპეციალური კითხვარის მეშვეობით ძალადობის ფაქტის დადგენის ვალდებულება, როგორც ადრეული ინტერვენციის მექანიზმი, შესაძლოა, ეფექტური იყოს შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად, ძალადობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად და დროული დახმარების გასაწევად.

*ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, იურისტი, სამედიცინო პერსონალი, სხვა მოწვეული სპეციალისტი, ვისაც მსხვერპლი საჭიროებს – ამ პირთა ერთობლიობაა და ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედებენ. ამასთანავე, ყველა დარგის სპეციალისტი გადამზადებულია საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანილი ინსტრუმენტებით, გაიდლაინებით, სამუშაო პროცესებით, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა მიერ (თბილისის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი).*

გამომდინარე იქიდან, რომ კრიზისული ცენტრების მიერ შეთავაზებული სერვისები გადაუღებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, მათი გეოგრაფიული დაფარვა არასაკმარისია. აუცილებელია გაჩნდეს მუნიციპალური სერვისები, რომლებიც მოსახლეობის საჭიროებებს იქნება მორგებული. კრიზისული ცენტრების მომსახურება მხოლოდ ქალაქებშია მისაწვდომი, ხოლო სოფლად მცხოვრები ქალების დიდ ნაწილს, შესაძლოა, არ ჰქონდეს საკმარისი სახსრები იმისათვის, რომ

რეგულარულად შეძლოს ქალაქში გამგზავრება სერვისების უწყვეტად მისაღებად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მობილობის შეზღუდვა ან აკრძალვა და მსხვერპლის გარე სამყაროსგან იზოლაცია ხშირად გამოიყენება ძალადობის ხერხად და თანაარსებობს ძალადობის სხვა ფორმებთან. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში “ქალები და მობილობა – ქალთა ყოველდღიური გადაადგილების გენდერული ასპექტები” აღნიშნულია, რომ ქალების, გოგოების, ლგბტქ ადამიანების მიმართ არსებობს მობილობის ბარიერები ფსიქოლოგიური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შესაძლებლობის გამო (საქართველოს სახალხო დამცველი, 2021).

*რეგიონული დაფარვაა ძალიან მცირე. ნაკლებად “გაუმართლა” იმ მსხვერპლს, რომელიც, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში ან კახეთის რეგიონში ცხოვრობს, იმიტომ, რომ ვერაფერს შევთავაზებთ ბევრს და რასაც შევთავაზებთ, შეიძლება ხარისხის პრობლემა იყოს. სერვისების ხარისხი რეგიონებში, უნდა ვთქვათ ობიექტურობისთვის, რომ არის დაბალი (სოციალური მუშაკი).*

ხშირად ძალადობის მსხვერპლებს ეზღუდებათ ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან კონტაქტი, ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა, დასაქმებისა და განათლების მიღების შესაძლებლობები, რაც ძალადობისგან თავის დაცვის და დამოუკიდებლობის მოპოვების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. შესაძლოა, მათ არ ჰქონდეთ წვდომა გადაადგილებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებზე, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მარტივად ხელმისაწვდომი არაა. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად ახლოს არის გაჩერებები დასახლებულ პუნქტთან და რამდენად განათებული და უსაფრთხოა ქუჩები (საქართველოს სახალხო დამცველი, 2021). გარდა ამისა, ზოგიერთ კონტექსტში არაა მიღებული ქალის მართო, დამოუკიდებლად გადაადგილება ან სხვა გენდერული იდენტობის მქონე ადამიანთან ერთად გადაადგილება. შედეგად, ძალადობაგამოვლილ ქალებს ეზღუდებათ წვდომა ისეთი მნიშვნელობის მქონე სერვისებზე, როგორცაა ფსიქოლოგის მომსახურება.

*რეგიონებშია ფსიქოლოგის სერვისის სიმწირე, არარსებობა. ფსიქოლოგის სერვისის მიღებისთვის ვერ შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს და შესაბამისად, ამ სერვისით ვერ ისარგებლებს. დისტანციურად სერვისები თითქმის არაა, თუნდაც ფსიქოლოგის სერვისის ვგულისხმობ, თუმცა, რომც იყოს, იმ ადამიანების კატეგორიას, ვისზეც ახლა ვსაუბრობთ, შეიძლება, ინტერნეტზეც არ მოუწვდებოდეს ხელი. თან ფსიქოლოგის სერვისის დისტანციურად მიღება ხარისხზეც შესაძლოა ახდენდეს გავლენას.*

*სერვისების სიმწირე და რეგიონებში მცხოვრებ მსხვერპლთა მდგომარეობა ნამდვილად არაა თანაბარი იმ ადამიანების მდგომარეობასთან, რომლებიც ცხოვრობენ დედაქალაქში ან თუნდაც ქუთაისში და ბათუმში. აქაც არაა იდეალური მდგომარეობა, თუმცა ამ ქალაქებს კიდევ არა უშავს (სოციალური მუშაკი).*

როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სერვისების შექმნისა და განვითარების პროცესში აუცილებელია აღნიშნულ ფაქტორთა ერთობლიობის გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერვისის ვერ მიიღებენ ქალები,

რომელთაც, შესაძლოა, ეს მომსახურება ყველაზე მეტად სჭირდებოდეთ. დღესდღეობით გეოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავს ძალადობის მსხვერპლი ქალების წვდომას სერვისებზე, რაც არც ისე ეფექტიანი და სამართლიანია. დასაქმებისა და ფინანსურ რესურსებზე წვდომის არქონა, ან თუნდაც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე ამა თუ იმ რეგიონში ძალადობის მსხვერპლი ქალის მიერ სერვისების მიღებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორი არ უნდა გახდეს. გარდა ამისა, სხვადასხვა თემს შესაძლოა განსხვავებული საჭიროებები და კულტურული კონტექსტი ჰქონდეს, რისი ცოდნაც აუცილებელია მსხვერპლის რეაბილიტაციის პროცესში დახმარებისთვის. ამ და სხვა მიზეზების გამო მხოლოდ ცენტრალიზებული სერვისები საკმარისი არ არის. აუცილებელია მუნიციპალურ დონეზე სერვისების შექმნა/განვითარება.

*პრაქტიკაში, არჩევანი როდესაც დგება ჩემთვის, როდესაც საქმე შეეხება სრულწლოვანს და ეს არის თბილისში, ვამისამართებ მას კრიზისულ ცენტრში და მეტ-ნაკლებად იღებს ამ სერვისს. თუ რეგიონშია, თითქმის ვერსად ვერ ვამისამართებ სრულწლოვან ქალს, იმიტომ რომ ცენტრალურ ქალაქში ჩასვლისთვისაც კი მას დამატებითი რესურსი სჭირდება და ამის ფინანსური რესურსი არ აქვს (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

*კრიზისულ ცენტრში თუ გადამისამართდა მსხვერპლი, როგორც წესი, თითქმის არ ტოვებენ ხოლმე სერვისის გარეშე, მაგრამ ეს არაა საკმარისი და უფრო პირველად რეაგირებას ჰგავს ეს, ვიდრე გრძელვადიან პერსპექტივაში მუშაობას და რესურსი ამ მხრივ საკმარისი არ არის (სოციალური მუშაკი).*

რესპონდენტების მონათხრობი ხაზს უსვამს შეზღუდული რესურსების პრობლემას კრიზისულ ცენტრებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისული ცენტრები პასუხობენ ძალადობის მსხვერპლთა პირველად საჭიროებებს, არ არსებობს სხვა სერვისები გრძელვადიანი მხარდაჭერისთვის, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, იწვევდეს მსხვერპლის ძალადობრივ გარემოში დაბრუნებას. აღნიშნული სერვისის ეფექტურობისთვის აუცილებელია გაცილებით უფრო ყოვლისმომცველი და მდგრადი დამხმარე სერვისების არსებობა მსხვერპლთა გრძელვადიანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათ გასაძლიერებლად. ეს მიუთითებს ხარვეზზე არსებულ მხარდაჭერის სისტემაში.

კიდევ ერთი გამოწვევა არის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების საკითხი. რესპონდენტების თქმით, სამედიცინო მომსახურების პაკეტი, რომლის ფარგლებშიც ძალადობის მსხვერპლს ამ სერვისის მიღება შეუძლია, ხშირად არასაკმარისია.

*პაკეტით გათვალისწინებული თანხა არ არის რეალურად ის თანხა, განსაკუთრებით, თუ მძიმე დაზიანებები აქვს მსხვერპლს, რომ მისი სრული რეაბილიტაციისთვის იყოს საკმარისი. რასაკვირველია, აქ გასათვალისწინებელია, რომ საყოველთაო დაზღვევით შეუძლიათ სარგებლობა, განსაკუთრებით, თუ გადაუდებელი შემთხვევებია, თუმცა ამ გადაუდებელ შემთხვევებშიც კი თუ არ არის სოციალურად დაუცველი, სრული დაფინანსება და ანაზღაურება, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე და გარკვეული პროცენტის გადახდა უწევს მსხვერპლს. ხშირად ამის რესურსი მას ფიზიკურად*

*არ გააჩნია და ამ შემთხვევაში ჩვენ გვიწევს დამატებითი ხარჯებისთვის რესურსების მოძიება (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

სერვისის მიმწოდებლებს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც ძალადობის დაზიანების კვალის დოკუმენტირება სჭირდებოდათ და ბენეფიციარის სამედიცინო დაწესებულებაში გაგზავნის შემდეგ გაირკვა, რომ ამ დოკუმენტაციის შესადგენად და კონსულტაციის გასაწევად საკმაოდ დიდი თანხის გადახდა იყო საჭირო. ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, ზოგიერთი დაწესებულება საერთოდ უარს ამბობს მსგავსი დოკუმენტაციის შედგენაზე და ცდილობენ, თავი აარიდონ.

*ფორმა 100-ის აღებაში დაახლოებით 150 ლარი გადავიხადეთ, იმისთვის, რომ უბრალოდ დაეფიქსირებინა მის ხელზე არსებული დაზიანებები, იმიტომ, რომ იყო ჰარასკევი სადამო და ორმაბათს უკვე ექსპერტიზაზე აზრი აღარ ექნებოდა, დაზიანების კვალი აღარ იარსებებდა. ისედაც გარკვეული დრო უკვე გასული იყო და მთლად რომ არ დაგვეკარგა მტკიცებულება. ეს არავის არსად არ დაუფარავს, არც სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ განვაცხადეთ, რომ გამოძიება მიმდინარეობს და ძალადობის მსხვერპლია და ა.შ. (იურისტი).*

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთ სოციალურ მუშაკს ჰქონია შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარს საკმაოდ ძვირადღირებული გეგმური ოპერაცია სჭირდებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ადამიანს მსხვერპლის სტატუსი ჰქონდა და თავმესაფარში ცხოვრობდა, ჯანდაცვის სამინისტრომ ოპერაცია სრულად დააფინანსა (დაზღვევა ამ ხარჯებს არ ითვალისწინებდა). აქ მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმის მართვა ხდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომელმაც თავის თავზე აიღო ჯანდაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის საკითხი და მსხვერპლის საჭიროებების ადვოკატირება. სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციის სოციალური მუშაკის ინიციატივით შედგა ეს კომუნიკაცია, რომელმაც საბოლოო ჯამში პოზიტიური შედეგი გამოიღო.

*არასამთავრობოს სოციალური მუშაკის დახმარებით მოხდა ამ დაფინანსების მოპოვება და არა სახელმწიფო სერვისის. შეიძლება ეს იყოს იმაზე მიმანიშნებელი, რომ მაინცდამაინც სიღრმეებში არ ჩადიან ადამიანების საჭიროებების სახელმწიფო სერვისებში (სოციალური მუშაკი).*

არასაკმარის გეოგრაფიულ დაფარვასთან და რესურსების ნაკლებობასთან ერთად, ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ სერვისის მიღების ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს სახელმწიფო უწყებების მიმართ უნდობლობა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ფსიქოლოგიური სერვისის შემთხვევაში. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ინფორმაციის ნაკლებობასთან, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის ნეგატიურ გამოცდილებასთან და ამ ინსტიტუტების შესახებ საზოგადოებაში არსებულ წარმოდგენებთან. ამ პრობლემის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ძალადობის ბევრი მსხვერპლისთვის არასამთავრობო სექტორს უფრო მეტი ნდობა და ლეგიტიმაცია აქვს და სახელმწიფოს ნდობის მშენებლობის მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს გასაწევი.

*მსხვერპლების ნაწილს არ უნდა სახელმწიფო დაწესებულებიდან თუნდაც ფსიქოლოგიის სერვისის მიღება, რადგან მათ გარკვეული უნდობლობა*

გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვუხსნით, რომ ეს არაა შინაგან საქმეთა სამინისტრო და ესაა სულ სხვა უწყება, რომლის პირდაპირი ვალდებულებაა მსხვერპლისთვის დახმარების გაწევა, სამწუხაროდ, უნდობლობა მაინც აქვთ და ურჩევნიათ, რომ ჩვენ მოვუძებნოთ სხვა არასამთავრობოში ფსიქოლოგი, ვიდრე მიიღონ კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგიური მომსახურება (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

შეიძლება ითქვას, რომ კრიზისული ცენტრების შექმნა და განვითარება პროგრესული მიდგომაა ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის მიმართულებით. წლების განმავლობაში, აღნიშნული დაწესებულებების რიცხვი იზრდება, ხოლო მასშტაბები ფართოვდება, რაც დაკავშირებულია საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობასთან. კრიზისული ცენტრები, თავშესაფართან და ძალადობის ცხელ ხაზთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს მრავალგანზომილებიანი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს ფსიქო-სოციალურ, სამედიცინო, სამართლებრივ და თბილისის დაწესებულების შემთხვევაში, სადღეღამისო სერვისსაც. ამასთან, ცენტრის ინკლუზიურობის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სერვისის მისაღებად ფორმალური მსხვერპლის სტატუსი არაა საჭირო, მიუთითებს სერვისების მიმართულებით ბარიერების გარღვევისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებზე. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს შეზღუდული რესურსები, არასაკმარისი გეოგრაფიული დაფარვა, მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფოს ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობა, ასევე, უფრო მდგრადი და მსხვერპლის გრძელვადიან გაძლიერებაზე მიმართული სამუშაოების არარსებობა ( GREVIO , 2022). ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუდმივად შემხებლობაში მყოფი, მათთან მომუშავე ადამიანების მოსაზრებები ხაზს უსვამს მდგრადი, ყოვლისმომცველი, კომპეტენტური და სხვადასხვა ჯგუფის მიმართ მაღალი სენსიტიურობის მქონე ადამიანებისგან შემდგარი მხარდაჭერის სისტემის შექმნის აუცილებლობას ძალადობის მსხვერპლი ქალების პირველადი და გრძელვადიანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

## თავშესაფრები

საქართველოში ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბაზაზე ფუნქციონირებს ძალადობის მსხვერპლთა ხუთი თავშესაფარი შემდეგ ქალაქებში: თბილისი, გორი, მარნეული, ქუთაისი და ოზურგეთი. თავშესაფრებში ჩარიცხვას ექვემდებარება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული მასზე დამოკიდებულ პირთან ერთად. დაზარალებულად ითვლება პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაზარალებულად ცნობს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ოჯახურ დანაშაულებსა და ოჯახში ძალადობის დანაშაულზე. მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობა ან იძულება და რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასამართლომ ან მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა განუსაზღვრა მსხვერპლის სტატუსი (სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, 2023). რაც შეეხება დამოკიდებულ პირს, ეს არის



მსხვერპლის/დაზარალებულის 18 წლამდე ასაკის შვილი ან პირი, ვისი კანონიერი წარმომადგენელიც არის მსხვერპლი/დაზარალებული. თუ 2023 წლამდე თავშესაფარში მოხვედრა მხოლოდ მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსით იყო შესაძლებელი, ამავე წლის ივლისიდან სტატუსი აღარ არის ამ სერვისის მიღების წინაპირობა.

*აქამდე თავშესაფრით ვერ ისარგებლებდი, თუ არ გქონდა განსაზღვრული შესაბამისი შემაკავებელი ორდერი, პროკურატურის დადგენილება დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, სასამართლოს დამცავი ორდერი ან მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის დასკვნა, რაც პირველი ივლისიდან აღარ იფუნქციონირებს. ეს არ ნიშნავს, რომ სტატუსი ჩაიხსნება, უბრალოდ, არიან პირები, ვისაც არ უნდათ მიმართონ სამართალდამცავ უწყებებს. აქედან გამომდინარე, კრიზისულ ცენტრებში მისულ პირებს, ვისაც არ უნდათ ითანამშრომლონ სამართალდამცავ და დევნის განმხორციელებელ ორგანოებთან და სასამართლო ორგანოებთან, დაიდენტიფიცირებენ კრიზისულ ცენტრში და შემდგომ მათ შესაძლებლობა ექნებათ სტატუსის გარეშე ისარგებლონ სიკეთეებით (კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი).*

**აღნიშნული ცვლილება ზრდის სერვისზე მისაწვდომობას და ხსნის ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს იმ ქალებისთვის, ვისაც საგამოძიებო უწყებებთან თანამშრომლობა არ სურთ, თუმცა, დაუყოვნებლივ ესაჭიროებათ თავშესაფრის სერვისით სარგებლობა.** მეორე მხრივ, შესაძლოა, ამ ცვლილებამ ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების, გამოძიების დაწყების და მასზე სათანადო სამართლებრივი რეაგირების მაჩვენებელი შეამციროს.

როგორც არასამთავრობო სექტორის სერვისის მიმწოდებლები აღნიშნავენ, მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ საბჭოსთან ჰქონიათ როგორც კარგი, ისე ცუდი გამოცდილება. ხშირ შემთხვევაში სხდომის მოწვევას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ძალადობაგამოვლილ ქალს სერვისი დაუყოვნებლივ ესაჭიროებოდა. სხვა რესპონდენტებს საბჭოსთან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილებაც ჰქონიათ. მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლს არ სურდა პოლიციის ჩარევა, ან ძალადობრივი ინციდენტი უკვე მომხდარი იყო. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „ყოველთვის, თუ ადამიანი ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა, ის იღებდა სტატუსს და იღებდა სერვისს.“ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO) 2022 წლის საბაზისო შეფასების ანგარიშში შემოთავაზებს გამოთქვამდა მსხვერპლის სტატუსის მოპოვების ვალდებულებასთან დაკავშირებით ისეთი სახელმწიფო უწყებების ინფორმირების მოთხოვნასთან დაკავშირებით, როგორცაა მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი, რაც ეწინააღმდეგება სტამბოლის კონვენციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ( GREVIO , 2022, გვ. 48). ექსპერტთა ჯგუფი ასევე ხაზს უსვამდა მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებულ სტიგმასაც, რაც დამატებით ბარიერს ქმნის სერვისებზე წვდომის მხრივ.

მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის აპარატი გარკვეული სიხშირით, არაგეგმიურად და ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად ახორციელებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) მონიტორინგს. მონიტორინგის ანგარიშებში აღნიშნულია, რომ პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, გაზრდილი

მიმართვიანობის ფონზე თავშესაფრის მიერ მიწოდებულ სერვისს უამრავი გამოწვევა აქვს, მაგალითად, მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, დასაქმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების, სარეკრეაციო და შემეცნებითი აქტივობების სიმცირის გამო (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020). ასევე პრობლემაა ბენეფიციართა გრძელვადიანი მხარდაჭერა შესაბამისი პროგრამების არარსებობის/სიმცირის გამო. გარდა ამისა, სახალხო დამცველის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია სერვისების ინკლუზიურობაზე. კერძოდ, არადომინანტი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ბენეფიციარების ფსიქოლოგიური სერვისებზე წვდომაზე ენის ბარიერის გამო (იქვე). ამ პრობლემებზე ისაუბრეს კვლევის რესპონდენტებმაც, რომლებიც უშუალოდ სერვისის გამცემი პირები არიან.

*გვერდითა შენიშვნა, როდესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი არასრულწლოვანი პრევენციულად გამოვიყვანეთ თავშესაფარში და რამდენიმე თვის განმავლობაში იქ იყო. სერვისებს კი იღებდა, მაგრამ ხარისხი როგორი იყო ამ სერვისის, ეს უკვე პრობლემაა, რადგან ენობრივი ბარიერი არის ხელისშემშლელი ზოგადად ყველა სერვისის მიღების დროს (იურიდიული სერვისის გამცემი პირი).*

*ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით პირველი გამოწვევაა ენობრივი ბარიერი. სერვისი ეფექტურობას კარგავს, ფსიქოლოგთან კომუნიკაცია რომ ვერ დგება. ნდობის კუთხითაც ძალიან დიდ გავლენას ახდენს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ეს სერვისები ფაქტობრივად მიუწვდომელია (სოციალური მუშაკი).*

გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, პრობლემაა **ფსიქო-სოციალური საჭიროებების** მეორე პირებისთვის სერვისებით სარგებლობა. მაგალითად, სერვისის გამცემ პირებს ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც სუიციდის რისკის მეორე ძალადობის მსხვერპლისთვის გაუჭირდათ სერვისების მოძიება. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, თავშესაფრებში ცდილობენ ასეთი ბენეფიციარები არ მიიღონ, რადგან არ აქვთ დამატებითი დამცავი მექანიზმები და სერვისები მათ საჭიროებებს მორგებული არაა. როგორც რესპონდენტმა აღნიშნა: „თუ გაიგეს, რომ რისკი არსებობს, რომ საკუთარ თავს ან სხვას ზიანი მიაყენოს, ის თავშესაფარში ვერ მოხვდება.“ მწვავე ფსიქო-სოციალური საჭიროების მეორე ქალების სერვისის მოძიების სირთულე ააშკარავებს ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ მხარდაჭერის სისტემის ხარვეზებს. ეს ფაქტი ხაზს უსვამს ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს თავშესაფრის სისტემაში და მიანიშნებს ფსიქო-სოციალური ნიშნით მოწყვლადი ინდივიდების კომპლექსურ საჭიროებებზე მორგებული სერვისების კრიტიკულ მნიშვნელობაზე. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, შესაძლოა, მოიცავდეს მსხვერპლთან მომუშავე ჯგუფის მიერ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასებასაც, რაც, შესაძლოა, საქმეში ერთ-ერთი მტკიცებულება გახდეს და რაც ფსიქოლოგის სერვისს დამატებით მნიშვნელობას სძენს. მეტიც, რესპონდენტების თქმით, ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ფსიქოლოგიური ძალადობაა, რომელიც უმეტეს შემთხვევებში ძალადობის სხვა ფორმებს ერთვის თან. ძალიან ხშირად თავად მსხვერპლებისთვისაც რთულია ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირება, რაც აუცილებელია რეაბილიტაციის პროცესის დასაწყებად.

*ფიზიკური ძალადობა ფსიქოლოგიურის გარეშე თითქმის არ არსებობს, თუმცა, ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირება უფრო რთულია მსხვერპლისთვის (სოციალური მუშაკი).*

თავშესაფრის სერვისები ნაკლებადაა მორგებული ლგბტქ ჯგუფის საჭიროებებსაც. რესპონდენტების თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ცდილობენ თავშესაფარში დასაქმებული პირების ლგბტქ საკითხებზე გადამზადებას. ხშირად თავშესაფრებს აქვთ ამ კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელი ბენეფიციარის დახმარების მზაობა, თუმცა, არ აქვთ შესაბამისი ცოდნა. სწორედ ამიტომ, ლგბტ ორგანიზაციების წარმომადგენლები ატარებენ ტრენინგებს სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში და შემდგომ ინარჩუნებენ კომუნიკაციას იქ დასაქმებულ პირებთან. ხშირია შემთხვევები, როდესაც ლგბტ პირებისთვის თავშესაფარში მტრული გარემოა, არა თავშესაფრის თანამშრომლების, არამედ სხვა ბენეფიციარების მხრიდან.

*ხშირია ბენეფიციარებს შორის დაპირისპირებები. უსაფრთხოების მხრივ თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენლები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართული ბენეფიციარების ერთმანეთთან ურთიერთობის ნაწილში. ერთად ცხოვრების დროს რომ ერთმანეთს პრობლემები არ შეუქმნან, საცხოვრისში გადატვირთულობის გამო, თავისთავად, რაღაც პრობლემები იქმნება. შეიძლება ამან გამოიწვიოს დამატებითი სტრესი და დაპირისპირება (იურისტი).*

ამ მიზეზით, ლგბტქ ჯგუფის ბევრი წევრი თავად ამბობს უარს სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობაზე. ამ პრობლემასთან ერთად, მწვავედ დგას ინფრასტრუქტურული გამოწვევებიც, განსაკუთრებით, არაბინარული და ტრანსგენდერი ადამიანებისთვის. ამ შემთხვევაში, თავშესაფარს უჭირს იმის გარკვევა, თუ სად შეიძლება განათავსოს ბენეფიციარი. ერთ-ერთი სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარი განათავსდა თავშესაფარში და იქ გახდა ძალადობის მსხვერპლი სხვა ბენეფიციარების მხრიდან. ამგვარი სიტუაციების მართვისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ტრენინგები თავშესაფრების თანამშრომლებისთვის. გარდა ტრენინგებისა, აუცილებელია ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება და თავშესაფრის სისტემის სტრუქტურულ ცვლილებებზე მუშაობა, იმისათვის, რათა გათვალისწინებული იყოს ლგბტქ თემის საჭიროებები.

*ბევრი წლის განმავლობაში ხდებოდა ლგბტ თემის სპეციფიკის გათვალისწინებით თავშესაფრის სერვისის შექმნის ადვოკატირება. ეს იყო ასახული 2018-2020 ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში. მაგრამ საერთოდ არაფერი გაკეთებულა ამ მიმართულებით. ამ სერვისის გაჩენა გვინდოდა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა სტრატეგიაშიც, ჩვენც გავგზავნეთ რეკომენდაცია ამაზე, მაგრამ ამ სტრატეგიაში ლგბტ საკითხები საერთოდ არ მოხვდა (სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

ლგბტქ ადამიანებისთვის, ისევე, როგორც სხვა ჯგუფების წარმომადგენლების შემთხვევაში, განსაკუთრებით მწვავედ დგას მსხვერპლის გრძელვადიან გაძლიერებასთან დაკავშირებული ხედვის არარსებობა. სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, ამ პრობლემის

მიმართ განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან არასრულწლოვანები, უფრო მეტად კი ტრანს თემის წარმომადგენლები. მათი თქმით, ტრანს თემის შემთხვევაში არასრულწლოვანის სახლიდან წამოსვლა ნიშნავს, რომ ის სახლში ვეღარ დაბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თავშესაფარს და კრიზისულ ცენტრს აქვს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის სერვისი, ეს სერვისი არასაკმარისია, მით უმეტეს, როდესაც ოჯახებთან არ მუშაობენ.

*მუძღლებელია ამ ბავშვის სახლში დაბრუნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ბავშვი რჩება ქუჩაში და მერე უნდა ჩაერთოს სექს სამუშაოში. ანუ ყოველთვის უნდა იყოს ძალადობის მსხვერპლი. სექს სამუშაოში ჩართული ადამიანებისთვის იმდენად ხშირია ძალადობა, რომ ჰოლიციასთან მიდიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სიცოცხლეს ექმნება საფრთხე (სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელს ჰქონდა შემთხვევა, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ლესბოსელი ქალი ქამინგაუთის შემდეგ გახდა ძალადობის მსხვერპლი ოჯახის წევრების მხრიდან და მოუწია სახელმწიფო თავშესაფარში გადასვლა. ის იყო სტუდენტი და ყოველ სემესტრულად ესაჭიროებოდა გარკვეული თანხა სწავლის საფასურის გადასახდელად. თავშესაფარში გადასვლის შემდეგ ოჯახმა შეწყვიტა მისი ფინანსური მხარდაჭერა.

*ეს არის თემში განსაკუთრებით აქტუალური პრობლემა. ქამინგაუთის ასაკი არის მასობრივად უნივერსიტეტის ასაკი. საქართველოს რეალობაში, მასობრივად სტუდენტობის დროს აკეთებენ ქამინგაუთს. ქამინგაუთის გაკეთების შემდეგ ის კარგავს ყველაფერს აბსოლუტურად, რაც შეიძლება მხარდაჭერას გულისხმობდეს ოჯახის წევრების მხრიდან. სახლიდან გამოგდების შემთხვევები ბევრია. პრაქტიკაა საჭირო იმის, რომ რას შვება სახელმწიფო ამ დროს? არ აინტერესებს, რომ ეს ადამიანი დარჩა სრულიად მხარდაჭერის გარეშე? (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

მსგავს შემთხვევებში ფინანსური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ძალადობაგამოვლილი თემის წევრები იწყებენ მომსახურების სფეროში მუშაობას, რაც სწავლის შესაძლებლობას გამორიცხავს გრძელი სამუშაო საათებისა და დაბალი ანაზღაურების გამო. განსაკუთრებით, თუ ამ ადამიანს ქირის გადახდაც უწევს, რაც დღეს ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. რესპონდენტების თქმით, სახელმწიფოში არ არსებობს ხედავ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ჯგუფი განსაკუთრებულად მარგინალურია და სათანადო თანადგომა ესაჭიროება იმისათვის, რომ ინტეგრირდეს საზოგადოებაში. ამ და სხვა პრობლემების გამო ლგბტქი თემის ძალიან დიდი ნაწილი მიდის ემიგრაციაში და თავშესაფარს სხვა ქვეყანაში ითხოვს. ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, დღეს სახელმწიფო პოლიტიკა დიად ჰომოფობიურია და კაპიტალიზდება ჰომოფობიაზე, სწორედ ამიტომ, სერვისების შექმნის ადვოკატირება ამ პირობებში რთულად და ბუნდოვნად ესახებათ.

*ახლა განსაკუთრებით კოვიდის მერე მასობრივად ლგბტ ადამიანები ტოვებენ საქართველოს და მიდიან თავშესაფრის მისაღებად სხვა ქვეყნებში და მთელ რიგ საკითხებზე, რაზეც ადვოკატირება მიზანშეწონილად მიგვაჩნდა, ახლა გართულებულია, იმიტომ, რომ მთავარი არგუმენტი, რაც შსს-ს აქვს, არის, რომ*

*ეს არ არის ძალიან ხშირი პრობლემა. რატომ სვამთ საკითხებს რაღაცების სისტემურ ცვლილებაზე, როცა ეს შეიძლება ათ ადამიანს ეხებოდეს წელიწადში. ჩვენ გვიწევს იმის ახსნა, რომ ეს 10 არის ახლა როცა არაფერი არ გაქვს და 100 გახდება, მაშინ როცა გექნება (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

იურისტების პრაქტიკიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ტრანსგენდერ ქალებს ქალებად არ ცნობს, რაც მათ სერვისებზე წვდომას უზღუდავს. იურისტის თქმით, თუ პოლიციამ შემაკავებელი ორდერი არ გამოწერა, ან სასამართლომ დამცავი ორდერი, ეს ჯგუფი, გამომდინარე იქიდან, რომ მსხვერპლის სტატუსი აქტუალური იყო წინა წლებში და ამაზე იყო მიბმული სერვისების მიღების შესაძლებლობებით, სრულიად უგულებელყოფილი რჩებოდა. მას შემდეგ, რაც მსხვერპლის სტატუსი აღარ იქნება თავშესაფრის სერვისით სარგებლობის წინაპირობა, შესაძლოა, ამ მხრივ სიტუაცია შეიცვალოს.

*მეორე ნაწილი არის, რომ ქალთა მიმართ ძალადობის სერვისებია და ქალი ნახსენები და მსხვერპლის კომპენსაციის წესშიც ქალი ნახსენები, ამაზე განცხადებებიც გავავრცელეთ, რომ ტრანსგენდერი ქალები ამით ვერ ისარგებლებენ და ძალიან ვცდილობთ, რომ სტამბოლის კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, ამას სწორად ხედავდნენ და განმარტავდნენ (იურისტი).*

*რეაგირება ხდება როგორც ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე და არა როგორც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულზე და ესაა პრობლემა. პოლიცია ყოველთვის ახდენს რეაგირებას, გამოძიება იწყება, პასუხისმგებლობა დება, მაგრამ პრობლემაა ის, რომ მაშინაც კი, როცა აშკარაა, რომ ესაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ასე იდენტიფიცირება არ ხდება და უბრალოდ ხდება, როგორც ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება (არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელი).*

ამ საკითხს ეხმიანება ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზის ანგარიში (2019), რომელიც გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტია ძალადობისგან დაცვისა და სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერული იდენტობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის საკითხებზე. მან საქართველოში 2019 წელს ვიზიტის დროს შეაფასა ადამიანის უფლებების ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხარისხი და სხვა უწყებებთან ერთად მოინახულა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებიც. ექსპერტის თქმით, ქვეყანაში არის ინფორმაციის ნაკლებობა ლგბტქ თემში უსახლკარობასა და უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, მათ შორის ოჯახში ძალადობასა და უსახლკარობას შორის არსებულ შესაძლო კორელაციაზე. ბორლოზმა ხაზი გაუსვა სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების ნაკლებობას და დროებითი თავშესაფრის მისაწვდომობის პრობლემას. მისი თქმით, ძალადობის მსხვერპლთა არსებული თავშესაფრები არაა მორგებული ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და განსხვავებული გენდერული იდენტობის მქონე ადამიანების საჭიროებებს (Madrigal-Borloz, 2019). ექსპერტის თქმით, სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე ახალგაზრდები საქართველოში ხშირად ხდებიან ოჯახიდან გარიყვის მსხვერპლები ქამინგაუთის შემდეგ

და ბევრი მათგანი კარგავს საცხოვრებელ ადგილსაც. ასეთი ახალგაზრდები შესაძლოა გახდნენ სიღარიბის, უსახლკარობის, ძალადობის და დისკრიმინაციული დამოკიდებულებების მსხვერპლი საჯარო სივრცეებში (იქვე). ექსპერტი მოუწოდებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ცხოვრების ღირსეული სტანდარტები და შექმნას სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მათ საჭიროებებზე მორგებულ დროებით თავშესაფარს შესთავაზებს ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და სხვა გენდერული იდენტობების მქონე ადამიანებს.

კვლევის მონაწილეთა გამოცდილებით, მათი ბენეფიციარების უმეტესობისთვის თავშესაფარი და იქ ინტეგრირებული სერვისები ასე თუ ისე ხელმისაწვდომია, თუმცა, ხშირად არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ ქალაქში ადგილი არ არის და მსხვერპლს უწევს სხვა რეგიონის თავშესაფარში წასვლა. აღნიშნული პრაქტიკა პრობლემურია, რადგან შესაძლოა ძალადობის მსხვერპლს ჰქონდეს სამსახური და სოციალური კავშირები საცხოვრებელ ადგილას და ქალაქის შეცვლა მისთვის შემოსავლის წყაროს დაკარგვას ნიშნავდეს. ეს ეწინააღმდეგება მსხვერპლის გაძლიერების პრინციპს და პირიქით, ეკონომიკური მოწყვლადობის რისკის ქვეშ აყენებს მას. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლზე დამოკიდებული პირები (შვილები) შესაძლოა სკოლაში ან ბაღში დადიოდნენ და ძალადობისგან გამოწვეული სტრესის ფონზე მათთვის კიდევ უფრო რთული იყოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. არსებობენ ისეთი ბენეფიციარებიც, რომელთაც, შესაძლოა, სხვა ქალაქში გადასვლა ერჩივნოთ უსაფრთხოების გამო, თუმცა ასე იშვიათად ხდება. ძალიან ხშირად ქალები სწორედ ამ მიზეზის გამო ამბობენ უარს თავშესაფრის სერვისით სარგებლობაზე.

*კიდევ ერთი პრობლემაა, მაგალითად, თბილისშია გამოძიება დაწყებული, აქ მიმდინარეობს და გადაიყვანეს ქალი სადღაც დასავლეთ საქართველოში. მერე გამოძიების პროცესში, სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში ჩასართავად საჭიროა ამ ქალის ჩამოყვანა და ამხელა გზაზე უწევს წინ და უკან სიარული, რაც საკმაოდ სტრესულია.. შეიძლება ეს ისე იყოს, რომ დილით ჩამოიყვანონ და საღამოს წაიყვანონ, იმიტომ, რომ დამე ვერ დატოვებენ ვერსად და ერთი დღის განმავლობაში ბათუმიდან შეიძლება დილით ჩამოვიდეს და საღამოს ისევ უკან წაიყვანოს პოლიციამ (იურისტი).*

*გვერდია შემთხვევა, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, ლგბტქი თემის წევრს ესაჭიროებოდა თავშესაფარი. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ რეგიონში იყო ადგილი. სტუდენტი იყო და შეუძლებელი იყო იქ გადასვლა. ისევ იძულებულები გავხდით, რომ ჩვენ მოგვეძებნა არასამთავრობოს სერვისები და იქ გვყავდა რაღაც პერიოდი მსხვერპლი (იურისტი).*

გარდა ადგილებისა, თავშესაფრებში არის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული გამოწვევა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, რომელსაც, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, თავშესაფარში დასაქმებული სოციალური მუშაკების ანაზღაურება იმდენად დაბალია, რომ მათი უმეტესობა ექვს თვეზე ნაკლებ პერიოდში ტოვებს სამუშაო ადგილს. GREVIO-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ თითოეულ თავშესაფარში მუშაობს ხუთი სპეციალისტი, ანუ ხუთივე თავშესაფარში სულ



დასაქმებულია ხუთი ფსიქოლოგი, ხუთი სოციალური მუშაკი, ხუთი იურისტი, ხუთი მედდა და ხუთი ბავშვის მომვლელი. ბუნებრივია, რომ ამ რაოდენობის სპეციალისტებისთვის რთულია ქვეყანაში ძალადობის სერვისების მიმართულებით არსებულ მოთხოვნაზე პასუხი. ამასთან, თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში (გარდა თბილისის კრიზისული ცენტრისა) ძალადობის ყველა ტიპზე, მათ შორის სექსუალურ ძალადობაზე, ერთი და იგივე სპეციალისტები მუშაობენ, რაც პრობლემურია ( GREVIO , 2022, გვ. 49). მაგალითად, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ ზრუნვის სააგენტოში შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი – ლგბტ თემთან მუშაობის სახელმძღვანელო თავშესაფრისთვის, რაც ძალიან პოზიტიური ნაბიჯია, თუმცა თანამშრომლების შრომითი მდგომარეობა იმდენად მყიფეა, რომ შესაძლოა, რაიმე კონკრეტული მიმართულებით გადამზადებულმა თანამშრომელმა ძალიან მალე დატოვოს სამუშაო ადგილი და მის მიერ მიღებული ცოდნა დაწესებულებას აღარ გამოადგეს. თანამშრომელთა გადინების გამო ასეთი პრინციპები მდგრადად ვერ ინერგება, რაც საბოლოოდ ძალიან დიდ პრობლემას ქმნის.

*ჩემს გარშემო ყველაზე დიდ ხანს სოციალური მუშაკებიდან, ვისაც უმუშავია თავშესაფრებში 6 თვე არის. ყველა მიდის სამსახურიდან, იმიტომ, რომ თავშესაფრებში რაცა სახელფასო ზღვარი სოციალური მუშაკებისთვის ეგა ყველაზე დაბალი სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. არ ვიცი, რატომ აქვთ ასეთი პოლიტიკა. საკმაოდ საპასუხისმგებლო სამუშაოა. ეს ძალიან დიდი გამოწვევაა. ზოგჯერ თანამშრომელი უფრო მალე მიდის სამსახურიდან ვიდრე ბენეფიციარი და ერთ ბენეფიციარს რამდენიმე სოციალური მუშაკის გამოცვლა უწევს (სოციალური მუშაკი).*

თბილისში, ახალციხესა და ზუგდიდში არსებობს სამი თავშესაფარი, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ. კვლევის მონაწილეთა თქმით, არასამთავრობო სექტორში თანამშრომლებს უკეთესი სამუშაო პირობები, უკეთესი სამუშაო გარემო აქვთ, პროფესიულადაც ვითარდებიან და შემდგომ ამ ცოდნას ისევ თავის ბენეფიციარებს ახმარენ, რაც ძალიან დიდი კონტრასტია სახელმწიფო სერვისებთან შედარებით.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ კვლევის მიგნებები ხაზს უსვამს იმ სირთულეებსა და გამოწვევებს, რასაც ძალადობის მსხვერპლი ქალები აწყდებიან საქართველოში მათთვის განკუთვნილი თავშესაფრის სერვისის ძიების დროს. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე ხუთ სხვადასხვა ქალაქში ფუნქციონირებს თავშესაფრები, რომლებიც საცხოვრისთან ერთად სხვადასხვა ტიპის სერვისს სთავაზობენ ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს. აქამდე მსხვერპლის სტატუსის მოპოვების ეტაპი და სერვისის მისაღებად საგამოძიებო უწყებებთან, ან მსხვერპლის იდენტიფიკაციის საბჭოსთან თანამშრომლობის აუცილებლობა ბარიერს ქმნიდა თავშესაფრის მისაწვდომობის მხრივ, რაც 2023 წლის პირველი ივლისიდან შეიცვლება და შესაბამისობაში მოვა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, კვლევა ხაზს უსვამს მარგინალური ჯგუფების, მათ შორის ლგბტ ჯგუფის, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების და ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ადამიანების წინაშე არსებულ გამოწვევებს სერვისების მისაწვდომობის მხრივ. გარდა იმისა, რომ თავშესაფრები არაა მორგებული მათ საჭიროებებს, სახელმწიფო ამ ადამიანებს არ სთავაზობს

გრძელვადიანი გაძლიერების პროგრამებს. ლგბტქ ჯგუფის შემთხვევაში, მხარდამჭერი სოციალური ქსელის არარსებობასა და მძიმე სოციო-ეკონომიკური პირობები კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას. არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალები გამორიცხულები არიან ისეთი აუცილებელი სერვისებიდან, როგორცაა ფსიქოლოგის მხარდაჭერა. კვლევაში ასევე ჩანს ადამიანურ რესურსთან და თავშესაფრებში დასაქმებული სპეციალისტების ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემა, რაც სისტემურ გამოწვევებთანაა დაკავშირებული და ხელს უშლის მსხვერპლების ეფექტურ მხარდაჭერას. აუცილებელია ამ პრობლემების ყველა განზომილების დანახვა და მათზე მუშაობა, იმისათვის, რომ შეიქმნას ძლიერი და მსხვერპლის საჭიროებებზე მორგებული და მის ხანგრძლივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული თავშესაფრის სისტემა.

## ცხელი ხაზი

ერთ-ერთი პირველი მექანიზმი, რომელზეც მსხვერპლებს მიუწვდებათ ხელი არის 112 - ერთიანი გადაუდებელი რეაგირების ნომერი. 112 არის შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში, 2019 წელს გაერთიანდა სსიპ “112” და ერთობლივი ოპერაციების ცენტრი და შეიქმნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112, რომელიც ახორციელებს გადაუდებელი შემთხვევების მართვას. ცენტრის მთავარი ამოცანებია: გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და ეფექტიანი მართვის მიზნით საგანგებო სიტუაციებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში ერთიანი სატელეფონო ნომრის – 112-ის საშუალებით შეტყობინებების მიღება და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის, დანაშაულის მცდელობის ფაქტისა და სამართალდარღვევის ჩადენის დაფიქსირებისა და მათზე სათანადო რეაგირებისთვის 24-საათიანი, უწყვეტი ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება.<sup>1</sup>

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის დაფინანსების წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, 112-ის მომსახურების საფასური, ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.<sup>2</sup> საჯარო ინფორმაციის თანახმად, 112-ის თანამშრომლები რეგულარულად გადიან გადამზადებას ოჯახში ძალადობისა და სექსუალური შევიწროების თემაზე, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხარისხის მონიტორინგის ცენტრის თანამშრომლები ატარებენ.<sup>3</sup> საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ძირითად მიმართულებებს შორისაა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა<sup>4</sup> და შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლი ქალებისთვის ის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

<sup>1</sup> კანონი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ, 24/12/2019, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4738372?publication=3>

<sup>2</sup> კანონი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ, 24/12/2019, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4738372?publication=3>

<sup>3</sup> 112 ოფიციალური გვერდი: <https://112.gov.ge/?p=4061>

<sup>4</sup> 112 ოფიციალური გვერდი: [https://112.gov.ge/?page\\_id=262](https://112.gov.ge/?page_id=262)

2020 წელს გაეროს განვითარების პროგრამისა და ორგანიზაცია “საფარის” მიერ ჩატარდა კვლევა, რომელმაც შეაფასა როგორც პოლიციის რეაგირება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, ისე 112-ის მუშაობის ეფექტურობა. კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოიკითხა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ბენეფიციარი 76 ქალი თბილისსა და რეგიონებიდან. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 44% ამბობს, რომ ძალადობის ფაქტის შემდეგ დარეკა 112-ში. დარჩენილი რესპონდენტებიდან, რომელთაც 112-ში არ დაურეკავთ, 35%-მა ამის მიზეზად დაასახელა ნდობის არქონა, 18% თვლიდა, რომ დარეკვას აზრი არ აქვს, მოლოდინის დიდი დროის გამო, 30% არ ფლობდა ინფორმაციას 112-ის შესახებ, 27%-მა ახლობლების რჩევით არასამთავრობო ორგანიზაციას მიმართა სიტუაციაში გასარკვევად, ხოლო 10% პირდაპირ პოლიციაში წავიდა (პატარაია & ურჩუხიშვილი, 2020, გვ. 13-14). აღსანიშნავია, რომ კვლევა ჩატარდა 2020 წლის მარტი-ივნისის პერიოდში, როდესაც 112-ს შეთავსებული ჰქონდა კოვიდ-19-ის ცხელი ხაზის ფუნქცია.

კავშირი “საფარის” კვლევის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლები, რომელთაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქვთ გავლილი კონსულტაცია, არსებული მექანიზმების, მათ შორის 112-ის შესახებ ინფორმირებულები არიან და ამიტომ ზუსტად იციან, როგორ უნდა ესაუბრონ ოპერატორს, ხოლო კონსულტაციის გავლის გარეშე 112-ში დარეკვა ბევრი მსხვერპლისთვის ნეგატიურ გამოცდილებასთან ასოცირდება (პატარაია & ურჩუხიშვილი, 2020, გვ. 25). ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის არის ინფორმაციის ნაკლებობა გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზის არსებობისა და მისი ფუნქციების შესახებ. გარდა ამისა, ნდობის არარსებობა მიუთითებს ცხელი ხაზის ეფექტიანობასთან და პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ ეჭვებზე, რაც ნაკლებად ჩანს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. აუცილებელია ზემოხსენებული განსხვავებული ბარიერების გათვალისწინებით მუშაობა ცნობიერების ასამაღლებლად, მეტი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, ხარისხის კონტროლი, უკუკავშირის მექანიზმის შექმნა, ასევე არსებული მონაცემების ანალიზი სერვისის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით.

გარდა ცხელი ხაზისა, არსებობს 112-ის მობილური აპლიკაცია, რომლის ჩამოტვირთვა ნებისმიერი მსურველისთვის უფასოაა შესაძლებელი და მისაწვდომია ქართულ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. აპლიკაციის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად ითვლება მოქალაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრის ფუნქცია. აპლიკაციის მეშვეობით, შესაძლებელია როგორც 112-ში ზარის განხორციელება, ასევე ოპერატორთან ჩათის საშუალებით კომუნიკაცია, რომლის პარალელურადაც აქტიური GPS-ის შემთხვევაში, ხდება ადგილმდებარეობის გაზიარებაც. ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის აპლიკაციით შესაძლებელია ვიდეოზარის განხორციელებაც. გარდა ამისა, 112-ის აპლიკაციას აქვს ჩუმი განგამის ფუნქცია, რომლის გამოყენებაც რეკომენდებულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზარის განხორციელება მაღალი რისკის შემცველი შეიძლება იყოს. SOS ღილაკის გამოყენებით ხდება კოორდინატების გაზიარება და ადგილზე იგზავნება პოლიცია.<sup>5</sup> 2020 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დიდ ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია აპლიკაციის შესახებ. გარდა ამისა, ბევრი მათგანი ვერ ახერხებდა მოძალადის

<sup>5</sup>112 ოფიციალური გვერდი: [https://112.gov.ge/?page\\_id=22690](https://112.gov.ge/?page_id=22690)

სიახლოვეს ტელეფონის გამოყენებას, განსაკუთრებით ჰანდეშის დროს. კვლევის მიხედვით, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ქალები აპლიკაციას ადგილმდებარეობაზე წვდომის გამოც არ იყენებენ (პატარაია & ურჩხიშვილი, 2020, გვ. 23-24), რაც კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ უნდობლობასა და მის მიერ შექმნილ სერვისებზე ინფორმაციის ნაკლებობაზე მიუთითებს.

112-თან ერთად, არსებობს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი - 116 06, რომელიც 24-საათიან რეჟიმში ფუნქციონირებს და 9 ენაზე სთავაზობს მოქალაქეებს კონსულტაციას (ქართული, ინგლისური, რუსული, უკრაინული, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, არაბული და სპარსული). ზარები არის ანონიმური, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ ცხელი ხაზის პროგრამული უზრუნველყოფა განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 112-ის ცხელი ხაზი, 112-ის აპლიკაცია და 11606 ცხელი ხაზი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ძალადობის შემთხვევების მართვაში, თუმცა მიუხედავად მათი პოტენციური სარგებლისა, საზეზა აშკარა გამოწვევები, რომლებიც უნდა გადაიჭრას იმისათვის, რომ სრულყოფილად ემსახურობდეს დასახულ მიზანს. არსებული კვლევები აჩვენებს, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალები არ არიან საკმარისად ინფორმირებულები ცხელი ხაზის არსებობისა და მათთვის რელევანტური ფუნქციების შესახებ. ამასთან, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ცხელი ხაზის ეფექტიანობასთან დაკავშირებული უნდობლობა და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული შიში მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის. ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, ქალები გაცილებით ეფექტურად ახერხებენ არსებული სერვისებით სარგებლობას. ამ გამოწვევების მოგვარება საჭიროებს მრავალმხრივ მიდგომას: ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, ხარისხის კონტროლის ძლიერ მექანიზმს, ეფექტური გამომხაურების მექანიზმების ჩამოყალიბებას და არსებული მონაცემების მუდმივ ანალიზს, რაც ცხელი ხაზისა და აპლიკაციის გაუმჯობესებას და მსხვერპლის ინტერესებზე მორგებას შეუწყობს ხელს.

#### არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა საქართველოში მოქმედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, რომლებიც გასცემენ ისეთ სერვისებს, როგორიცაა ფსიქო-სოციალური, იურიდიული, თავშესაფრის მომსახურება. რესპონდენტების თქმით, ხშირად ძალადობის მსხვერპლი ქალები არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ იგებენ სხვადასხვა სერვისის და დაცვის მექანიზმის არსებობის შესახებ, რადგან უმეტეს შემთხვევებში ადვოკატები, გამომძიებლები, პროკურორები, სასამართლო არ აწვდის ძალადობაგამოვლილ ქალს მისთვის საჭირო ინფორმაციას.

*რაც არის სერვისები, ამაზე მსხვერპლ ქალებს ინფორმაცია ხშირად არ აქვთ. მით უმეტეს, თუ არ ჰყავთ ადვოკატი, ან ისეთი ადვოკატი ჰყავთ, რომელიც ამ საკითხებში გაცნობიერებული არაა და არ იცის კოორდინირებულად და კომპლექსურად როგორ მიუდგეს ამ საკითხს, როგორც წესი, სერვისის გარეშე*

*რჩება მსხვერპლი ან თავისი ფინანსებით ცდილობს ამ სერვისების მოძიებას, რაც დამატებითი წნეხია (იურისტი).*

*არასრულწლოვანის შემთხვევაში ავტომატურად ერთვება კოორდინატორი. თუ საქმე ეხება ზრდასრულ ადამიანს, მე პირადად გამოცდილება მქონია, რომ მე თვითონ მომიტხოვია, მიიქვამს, რომ მსხვერპლს სჭირდება კოორდინატორის მომსახურებით სარგებლობა, იმიტომ, რომ ეს პროაქტიულად არავის არ შემოუთავაზებია (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).*

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ შეავსონ სერვისების მხრივ არსებული დანაკლისი, მათი წარმომადგენლების თქმით, ეს სერვისები საკმარისი არაა. დეფიციტი ნაკლებადაა თბილისში, რადგან სერვისის გამცემი ორგანიზაციების დიდი ნაწილი სწორედ აქაა თავმოყრილი, თუმცა ეს პრობლემა მწვავედ დგას რეგიონებში. განსაკუთრებით პრობლემურია ფსიქოლოგის მომსახურება, რადგან ეს სერვისი რეგიონების ნაწილში თითქმის არ არსებობს. ზოგიერთ რეგიონს მხოლოდ ერთი ან ორი ფსიქოლოგი ჰყავს, რომელიც მუშაობს როგორც სრულწლოვან პირებთან, ისე ბავშვებთანაც და სხვა სპეციფიკის მქონე ძალადობაგამოვლილ ადამიანებთან, რაც, ბუნებრივია, გამორიცხავს ხარისხიანი სერვისის გაწევას. პრობლემურია სპეციალიზებული სერვისის არსებობა, როგორცაა მაგალითად ბავშვებზე, შშმ პირებზე მორგებული სერვისები, მით უფრო. თუ ეს პირი ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონეა.

*მე რომ მკითხოთ, ფიზიკური უსაფრთხოების შემდეგ მსხვერპლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია გადაუდებელი ფსიქოლოგიური სერვისის მიღება, იმიტომ, რომ რეაბილიტაცია გამორიცხებულია, თუ არ მოხდება მასთან ფსიქოლოგიური, თერაპიული მუშაობა. ამ სერვისის გარეშე სრულყოფილი რეაბილიტაცია გამორიცხებულია (სოციალური მუშაკი).*

ფსიქოლოგიური სერვისის მისაღებად, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ბენეფიციარებს აქტიურად ამისამართებენ წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან (GCRT), რომელსაც რეგიონული ოფისებიც აქვს გორში, ბათუმსა და ქუთაისში. ცენტრმა 2010 წლიდან გააფართოვა სერვისები ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის მიმართულებით, მათ შორის მსხვერპლი ქალების, ბავშვებისა და მოზარდებისათვის დახმარების გაწევის მიზნით (GCRT, 2023). ფსიქოლოგის სერვისზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ლგბტქ თემში და ამ სერვისის გამცემ ორგანიზაციებს შორისაა თანასწორობის მოძრაობა და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG). ფსიქოლოგის სერვისთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ევროკავშირში არსებული სერვისების კოპირებას და ერთობლივი პრინციპით მუშაობას.

*ადამიანს მხოლოდ ერთჯერად სერვისს კი არ ვთავაზობთ ცალკეული სპეციალისტის, როგორცაა ფსიქოლოგი, არამედ ამ ადამიანისთვის ვქმნით ისეთ სერვისს, რომელიც მოიცავს მის გრძელვადიან მხარდაჭერას, მათ შორის, რეაბილიტაციის მიმართულებით, თუ ძალადობის გამოცდილება ძალიან მძიმეა. მისი საჭიროებების ანალიზს, რომელსაც სოციალური მუშაკი აკეთებს და მერე რთავს იმ სპეციალისტს, რომელიც ადამიანს სჭირდება. მაგ. იურისტს,*

*ფსიქოლოგს, სექსოლოგს. მომავალში ვაპირებთ ადიქტოლოგი დავამატოთ (იურისტი).*

*ჩვენ გვყავს მულტიდისციპლინური გუნდი – იურისტი, სოცმუშაკი, ფსიქოლოგი – ყველა საქმეს განიხილავენ ინდივიდუალურად და იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული საჭიროება აქვს ძალადობის მსხვერპლს, შესაბამისი სერვისი მიეწოდება (სათემო ორგანიზაციის თანამშრომელი).*

გუნდში დასაქმებული სპეციალისტები აუცილებელია იყვნენ ლგბტ საკითხების მიმართ სენსიტიურები და თემთან ახლოს მყოფი ადამიანები. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციაზე და არ არსებობს ამ საკითხებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები, არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ისეთი ადამიანების მოძებნას, ვისაც განათლება საზღვარგარეთ აქვს მიღებული ან საკუთარი სურვილით შეუსწავლია ეს სპეციფიკა, იმისათვის, რომ არ მოხდეს მსხვერპლის დამატებითი რეტრავმატიზაცია. გარდა ამისა, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)) ფსიქოლოგები თარგმნიან სხვადასხვა ქვეყანაში დამკვიდრებულ სახელმძღვანელოებს და ამ სფეროს პროფესიონალებისთვის საჭირო რესურსებს.

*ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით ვმუშაობთ პირველ რიგში. ესაა ძალიან აქტუალური და საჭირო, რადგან ჩვენთან ფსიქოლოგის პროფესია არაა ლიცენზირებადი, ის უკონტროლოა და დიდ პრობლემებს ქმნის; ამ მიმართულებით გვინდოდა ცოდნა შეგვექმნა და მერე აკადემიას ვუზიარებთ, ილიას უნივერსიტეტი ცდილობს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ეს მასალები, და ამით ვცდილობთ საუნივერსიტეტო სიცარიელე შევავსოთ, რომ სერვისები დაიხვეწოს ქვეყანაში (WISG-ის წარმომადგენელი).*

რესპონდენტებთან საუბრიდან ჩანს, რომ განსაკუთრებით ლგბტ თემთან მიმართებაში მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ მსხვერპლის საჭიროებებს მორგებული სერვისები. იურისტების თქმით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლგბტ თემისთვის სერვისით სარგებლობის წინაპირობა არ იყოს მსხვერპლის სტატუსი, რადგან ბევრისთვის სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირება რეტრავმატიზებისა და რევიქტიმიზაციის ძალიან მაღალ რისკს შეიცავს, ასევე არის ქამინგაუთის შიში, რადგან შესაძლოა პირადი ინფორმაცია ოჯახის წევრამდეც მივიდეს. სწორედ ამიტომ, თემის წევრები ამჯობინებენ არასამთავრობო ორგანიზაციებში მისვლას და სერვისის იქ მოძიებას, განსაკუთრებით, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში.

სხვა სერვისებთან ერთად, ძალადობაგამოვლილი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი იურიდიული მომსახურების მიღება, რაც ასევე მწვავე პრობლემაა. ამ მიმართულებითაც ძალიან დიდ როლს არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ. კანონმდებლობის მიხედვით, ამ მომსახურების მსხვერპლებისთვის გაწევა იურიდიული დახმარების სამსახურს ევალება, თუმცა, როგორც რესპონდენტები ამბობენ, ამ სერვისით სარგებლობის მაღალი მაჩვენებელი არაა. მათი თქმით, როგორც წესი, გამომძიებელი ამ უფლების შესახებ ძალადობის მსხვერპლ ქალს ინფორმაციას არ აწვდის და ის საქმეში ან ადვოკატის გარეშეა წარმოდგენილი, ან არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატს რთავს.



როგორც კვლევის მონაწილეები ამბობენ, ძალიან ხშირად იურიდიული სამსახურის ადვოკატები უკიდურესად დისკრიმინაციულ და სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს ავლენენ ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა ბავშვებთანაც, რადგან ქვეყანაში სპეციალიზებული ადვოკატების ნაკლებობაა. არანაკლებ მძიმე გამოწვევებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, განსაკუთრებით ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირებთან. რესპონდენტების თქმით, შესაძლოა ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პოზიცია არც კი გაითვალისწინოს.

*შეიძლება უნდოდეს გადაწყვეტილების გასაჩივრება შშმ პირს, მაგრამ ადვოკატმა ჩათვალოს, რომ არ ხედავს ამის საჭიროებას და მსხვერპლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. ასეთი შემთხვევებიც გვქონია პრაქტიკაში. რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკაში შშმ პირები ამ უფასო სერვისს ვერ იღებენ. ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი).*

სწორედ ამ სიცარიელის შევსება უწევთ არასამთავრობო ორგანიზაციებს როგორც ფსიქოლოგიური, ისე იურიდიული სერვისის მხრივ. ხშირ შემთხვევაში ამავე ორგანიზაციებს უწევთ მსხვერპლისთვის საჭირო მატერიალური სახსრების მოძიებაც. მაგალითად, სასამართლო დავების დროს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, დგება ბაჟის გადახდის საკითხი, რისი საშუალებაც, შესაძლოა, არ ჰქონდეს ძალადობაგამოვლილ ქალს. ხშირად ამ ხარჯსაც არასამთავრობო ორგანიზაცია ფარავს. ან თუ თანხის მოძიება ვერ ხერხდება, უწევთ მოთხოვნილი თანხის შემცირება, რადგან ბაჟი ამ თანხის პროპორციულად ითვლება.

*ხშირად გვიწევს მოთხოვნა შევამციროთ, რაც არაა იდეაში საუკეთესო, რაც გვინდა ბენეფიციარისთვის. პირობითად შეიძლება ვხედავდეთ, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის ეკუთვნის 10,000 იმიტომ, რომ ამის ბაჟის გადამხდელი არაა თვითონ, არც ბაჟისგან თავისუფლდება და ჩვენც არ გვაქვს ამის საშუალება, რომ პროპორციულად ეს გადავიხადოთ; გვიწევს, რომ მოთხოვნა შევამციროთ და ჩვენ რისი გადახდაც შეგვიძლია, ამით შემოვიფარგლოთ (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).*

სერვისის მიმწოდებლები საუბრობენ არასამთავრობო სექტორში რესურსის ნაკლებობაზე. მაგალითად, შესაძლოა, ერთ ადვოკატს იმაზე ბევრი საქმე ჰქონდეს აღებული, ვიდრე რეკომენდებულია. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციული გაძლიერება, რაც თანამშრომლების პროფესიული გადაწვისგან დაცვასაც უნდა ითვალისწინებდეს, რაც კადრების გადინებას შეაჩერებს. კადრების ნაკლებობის გამო იურიდიული სერვისის გამცემი წამყვანი ორგანიზაციები, შესაძლოა, მხოლოდ სტრატეგიულ სამართალწარმოებაზე იყვნენ ორიენტირებულნი და ისეთ საქმეებზე უარის თქმა უწევდეთ, სადაც შედეგი სისტემურ ცვლილებასთან არაა დაკავშირებული. იგივე პრობლემაა ფსიქო-სოციალურ სერვისებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაშიც, თუ არასამთავრობო ორგანიზაციას რამდენიმე ფსიქოლოგი ჰყავს დასაქმებული, მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ არსებობს მოცდის პერიოდი. როგორც წესი, თითო ბენეფიციარს ფსიქოლოგის მომსახურება მინიმუმ რამდენიმე კვირა მაინც სჭირდება. ამ დროს სხვა ბენეფიციარები სერვისს ვერ იღებენ და არიან მომლოდინეთა სიაში.

*შეიძლება წლის განმავლობაში საკმარისი იყოს რესურსი, მაგრამ არის ხოლმე პერიოდები, მაგალითად ეს ბოლო 2-3 წლის განმავლობაში უკავშირდება პრაიდის კვირულს და მის შემდგომ და წინარე პერიოდს, როდესაც იმდენად იზრდება ძალადობის შემთხვევები, რომ ეს რესურსი შეიძლება არ იყოს საკმარისი და ამიტომ კოორდინაცია ხდება პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომ მოხდეს ამ რესურსების გადანაწილება (სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

რესურსების არსებობის შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციები უკეთესად გაუმკლავდებოდნენ მათ სერვისებზე არსებულ მოთხოვნას და იმ სიცარიელეს, რასაც დღესდღეობით სახელმწიფო სერვისების ნაკლოვანებები ტოვებს, უფრო ეფექტურად შეავსებდნენ. ამ ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ აქტიური კოორდინაცია, ხშირად ხდება ბენეფიციარების ერთმანეთთან გადამისამართება და დატვირთვის ასე განაწილება. ამის აუცილებლობა განსაკუთრებით დგას რეგიონებში, რადგან ბევრ დიდ ორგანიზაციას ოფისი მხოლოდ თბილისში აქვს და ვერ ახერხებს რეგიონში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის აუცილებელი სერვისების დროულად მიწოდებას. **სერვისების კუთხით არასამთავრობო ორგანიზაციები თითქმის ყველა ასპექტში ანაცვლებენ სახელმწიფოს.** გარდა იურიდიული, ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული, სოციალური მუშაკის და სხვა სერვისებისა, ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებს უწევთ ისეთი პასუხისმგებლობის აღებაც, როგორცაა ბენეფიციარისთვის ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვა სერვისის მიწოდების ადგილამდე, ასევე სასამართლო ბაჟის გადასახდელი თანხის მობილიზება, ქირის თანხის დროებით დაფარვა, სამედიცინო ხარჯების მობილიზება და ა.შ.

*იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური პრობლემები აქვს თემის წევრთაგან უმრავლესობას, შესაძლოა, უნდოდეს კონკრეტული საქმის წარმოება, მაგრამ იმდენად ეკონომიკურად მოწყვლადი იყოს, რომ გადაადგილების პრობლემა ჰქონდეს. როცა ბენეფიციარს ბაჟის გადახდა უწევს, აქაც, როგორც წესი, არ არსებობს არანაირი რესურსი. რაც შეეხება მედიკამენტებს, როცა ფსიქიატრის სერვისს იღებს და მედიკამენტი სჭირდება, შეიძლება ამის ყიდვა შეუძლებელი იყოს და ამის გარეშე ვერ იძურონალებს და შესაბამისად, ამ სერვისების მიწოდებაც გვიწევს (ღებტ ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

კვლევის მონაწილეთა თქმით, სხვადასხვა, არაჰომოგენურ ჯგუფებთან მუშაობის სპეციფიკური კომპეტენცია უფრო არასამთავრობო სექტორში დასაქმებულ სპეციალისტებს აქვთ. კომპეტენციისა და ცოდნის კონტრიბუციასთან ერთად, არასამთავრობო სექტორი სერვისის უმნიშვნელოვანესი მიმწოდებელია ქვეყანაში. რესპონდენტების თქმით, ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როდესაც გარკვეული პერიოდი ერთ-ერთ სახელმწიფო თავშესაფარს რეგიონში არ ჰქონდა იურისტის სერვისი და ამ დანაკლისს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტები ავსებდნენ.

**არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია თარგმნის სერვისის არსებობა,** განსაკუთრებით, ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის. მათი დიდი ნაწილი არ ფლობს სახელმწიფო ენას, ამიტომ, მათთვის პრობლემურია ერთი მხრივ, სერვისებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებზე ინფორმაციის ქონა და მეორე მხრივ, ამ სერვისების დამოუკიდებლად გამოყენება. აქაც დიდი

როლი მიუძღვით იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მუშაობენ.

*თარგმანი თითქმის არ ხდება, თუ გამოძიებაში არაა საქმე. თუ გამოძიებაშია, გამოკითხვის დროს კანონითაა გათვალისწინებული, რომ თარგმანი უნდა იყოს. ამ მოცემულობით კრიზისულ ცენტრში ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება რთული წარმოსადგენია (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ძალადობაგამოვლილ ქალს აქვს სერიოზული ფინანსური პრობლემები, ვერ ახერხებს საკუთარი თავისა და შვილების საკვებით უზრუნველყოფას და უკავშირდება არასამთავრობო ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს კვებითი ვაუჩერები, რასაც ძალადობის მსხვერპლი ქალები ამ სიტუაციაში გამოიყენებდნენ. ეს პრობლემა იმაზე მიუთითებს, რომ არ ხდება მსხვერპლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. შესაძლოა, ზოგიერთ მსხვერპლს თავშესაფრის სერვისი სჭირდებოდეს, მაგრამ სხვისთვის ეს სერვისი ოპტიმალური არ იყოს. მსხვერპლის რეტრავმატიზაციისა და რევიქტიმიზაციის საფრთხის შემცირებისთვის, **აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა და თითოეული ადამიანის სპეციფიკური მდგომარეობისა და საჭიროებების შეფასება და არა ერთიანი, სტანდარტული მიდგომა.** რესპონდენტების თქმით, სახელმწიფო მაქსიმუმ ცხრა თვეში ასრულებს მსხვერპლთან მუშაობას. შესაძლოა, ზოგისთვის ეს დრო საკმარისი იყოს გაძლიერებისთვის, მაგრამ უმეტესობისთვის მინიმუმ 2-3 წელი მაინც არის საჭირო რეაბილიტაციისთვის.

*მართო თავშესაფარი ხომ არაა, თავშესაფარი კიდევ ბევრ რამესთანაა დაკავშირებული. შეიძლება ტრავმატული იყო ის გამოცდილება, საერთოდ არ უნდოდეს. შეიძლება ჰქონდეს სივრცე, მაგრამ არ ჰქონდეს საკვებისთვის თანხა. ამ ყველაფერში დახმარებას სახელმწიფო არ უზრუნველყოფს (სოციალური მუშაკი).*

როგორც აღინიშნა, არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში გასცემენ თავშესაფრის სერვისსაც. ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს თავშესაფრები აქვს როგორც თბილისში, ისე ბათუმში. 2017 წლიდან ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი ჩაერთო სახელმწიფო პროგრამაში, დაექვემდებარა ჯანდაცვის სამინისტროს და მუშაობს ვაუჩერული სისტემით. თანამშრომლების თქმით, თავშესაფრებში არის 24-საათიანი მომსახურება ოთხჯერადი კვებით, შემოსვლისთანავე ხდება მსხვერპლის საჭიროებების განსაზღვრა და შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვა. მსხვერპლთან მუშაობენ შემდეგი სპეციალისტები: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი და ადმინისტრატორი. თავშესაფრის წარმომადგენლები ეხმარებიან მსხვერპლს ახლომდებარე სკოლებსა და ბაღებში ბავშვების განთავსებაში, ამარაგებენ სეზონური ტანსაცმლით და ჰიგიენური ნივთებით – ყველაფერი ეს ხდება საჭიროებების მიხედვით. ვაუჩერით გათვალისწინებული თანხა მხოლოდ კომუნალური გადასახადების დაფარვას ჰყოფნის, ხოლო დანარჩენი ხარჯები იფარება ორგანიზაციის მიერ მოპოვებული გარე დაფინანსებით.

*სახელმწიფო უწყებებთან მემორანდუმი გვაქვს და მათი ჩართულობით ხდება ბენეფიციარების მოხვედრა ჩვენთან. ისეთი შემთხვევებიც არის, რომ ძალადობის მსხვერპლია, თუმცა, რაღაც პრობლემების გამო ვერ ხდება მისი მსხვერპლად იდენტიფიცირება, ჩვენ ასეთ ადამიანებსაც ვათავსებთ ჩვენთან (ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თანამშრომელი).*

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც მათი ბენეფიციარი ერთი წლის განმავლობაში სარგებლობდა თავშესაფრის სერვისით, რის შემდეგ დადგა საცხოვრებლისა და სწავლის თანხის გადახდის საჭიროება. ბენეფიციარის ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ მხოლოდ ქირას ფარავდა. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დახმარების თხოვნით მიმართეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას, თუმცა დახმარება ვერ მიიღეს და ორი წლის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები აგროვებდნენ თანხას ბენეფიციარის სწავლის გადასახადის დასაფარად.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ძალადობის მსხვერპლთა ძირითადი სერვისებით უზრუნველსაყოფად. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ამ ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი სამართლებრივი, ფსიქო-სოციალური, თავშესაფრის და სხვა მხარდამჭერი სერვისები კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფო სერვისების სისტემური ხარვეზების დასაბალანსებლად. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციები იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომას და მსხვერპლთა საჭიროებების სხვადასხვა ნიუანსს ითვალისწინებენ. მათ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და ცოდნა აქვთ. მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული შრომა მნიშვნელოვანია როგორც კრიზისული სიტუაციების გადაუდებელი მართვისთვის, ისე მსხვერპლთა გრძელვადიანი გაძლიერებისთვის. მნიშვნელოვანია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის პრაქტიკა და ამ ორგანიზაციების მცდელობა ითანამშრომლონ სახელმწიფო უწყებებთან. გარდა სერვისების მიწოდებისა, ეს ორგანიზაციები მუდმივად ეწევიან ადვოკატირებას სისტემური ცვლილებებისთვის.

## სამართლებრივი მექანიზმები

### შემაკავებელი და დამცავი ორდერი

შემაკავებელი ორდერის გამოწერა ხდება პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. ამგვარი აქტით განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.<sup>6</sup> აღნიშნული ინსტრუმენტი ამოქმედდა 2018 წლიდან და სტრუქტურირებული,

<sup>6</sup> კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 25/05/2006, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22>

22 კითხვისგან შემდგარ კითხვარია, რომლის გამოყენებითაც ხდება ინფორმაციის მოგროვება ძალადობის მსხვერპლის, დამნაშავესა და ძალადობის ფაქტის შესახებ, ასევე ხდება განმეორებითი ძალადობის რისკების შეფასება, რაც აუცილებელია მონიტორინგის პროცესის დასაგეგმად. თითოეულ კითხვას მინიჭებული აქვს ქულები. ძალადობის მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში, პოლიციელი გარკვეული სიხშირით ახორციელებს კომუნიკაციას როგორც მსხვერპლთან, ისე დამნაშავესთან (ჩიჩუა, 2018). იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი უარს ამბობს კითხვებზე პასუხზე, თუმცა სახეზეა დანაშაულის ნიშნები, პოლიციელი უფლებამოსილია ამის მიუხედავად მიიღოს გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის/გამოძიების დაწყების თაობაზე.

კანონის მიხედვით, შემაკავებელი ორდერი შესაძლოა ფარავდეს შემდეგ საკითხებს: მოძალადის საცხოვრებელი სახლიდან მსხვერპლის გარიდების საკითხს; მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდებისა და თავშესაფარში მოთავსების საკითხებს; მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას; მოძალადის არასრულწლოვანისაგან განცალკევების საკითხს; მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოების საკითხს; ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების საკითხს; მოძალადისთვის იარაღით სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას; მოძალადის გაფრთხილებას ამ ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ და სხვა მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელ საკითხებს. შემაკავებელი ორდერი მოქმედებს ერთ თვემდე ვადით.

რაც შეეხება დამცავ ორდერს, ეს არის აქტი, რომელიც გაიცემა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის ღრობითი ღონისძიებები.<sup>7</sup> დამცავი ორდერი გამოიცემა 9 თვემდე ვადით და მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო. კანონის მიხედვით, დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს 3 თვით მსხვერპლის, ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში. ხაზგასასმელია, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერები პირდაპირ გავლენას ახდენს ძალადობის მსხვერპლის მიერ სხვა სერვისებზე წვდომაზე, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

კვლევის მონაწილეთა თქმით, ხშირია შემაკავებელი ორდერის გასაჩივრების შემთხვევები მოძალადის მხრიდან. აქ კრიტიკულია არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ჩართულობა, რადგან მათ უწევთ კომპეტენციის დეფიციტის შევსება. მათი თქმით, როგორც წესი, ასეთ საქმეებზე წარმომადგენლობას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამშრომელი, რომელმაც გამოსცა შემაკავებელი ორდერი. ამ თანამშრომლებს (მართლწესრიგის ოფიცრებს) არ აქვთ იურიდიული განათლება, რაც ხშირ შემთხვევაში

---

<sup>7</sup> კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 25/05/2006, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22>

პრობლემურია და შესაძლოა, მსხვერპლი დააზარალოს. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები ხშირად დარტყვირთულები არიან, რადგან მიყვებიან მსხვერპლებს გასაჩივრებული შემთავრებული ორდერის პროცესებზე:

*მათ [მსხვერპლებს] არ აქვთ ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, არ იციან, როდის რა შუამდგომლობები უნდა დააყენონ და უმეტესად პროცესზე რომ მიდიან, არიან ჩუმად. მათი სიჩუმე ძალიან ხშირად ბოლოს ცუდად მთავრდება, ძვირად უჯდება მსხვერპლს, რადგან შესაძლოა სასამართლომ შემთავრებული ორდერი გააუქმოს. როდესაც პროცესზე მიყვებით, მსხვერპლი, როგორც შესაძლოა პირია ჩართული და ჩვენ როგორც მისი წარმომადგენელი და მიუხედავად ამისა, თითქმის მთელი პროცესის წარმართვა ჩვენ მიერ ხდება და ეს შემთავრებული ორდერები ძალაში რომ რჩება, დიდწილად ჩვენი დამსახურებაა ხოლმე (იურიდიული სერვისის გამცემი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).*

კვლევის რესპონდენტთა თქმით, ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით განიხილება, რაც შემთავრებული ორდერის გამოცემას გულისხმობს. ამ დროს ყოველთვის არის რისკი, რომ დაზარალებული არაა სრულყოფილად გამოკითხული, ან თავად სხვადასხვა მიზეზის ერთობლიობის გამო უარს ამბობს პოლიციისთვის ინფორმაციის სრულყოფილად გაზიარებაზე, ამიტომ შესაძლოა ძალადობის სხვა ფორმებიც თანაარსებობდეს ფსიქოლოგიურ ძალადობასთან ერთად, მაგრამ ამის გამჟღავნება ვერ მოხერხდეს. კვლევის მონაწილეები, რომლებიც იურიდიულ სერვისს გასცემენ, ამბობენ, რომ სწორედ ამიტომაც შემთავრებული ორდერების რიცხვი ბევრად დიდი, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებზე დაწყებული გამოძიება.

გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლებს ექმნებათ პრობლემა სამართალდამცავებთან კომუნიკაციის დროს, რაც არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების შემთხვევაში შესაძლოა განპირობებული იყოს ძირითადად ენობრივი ბარიერით, ხოლო ლგბტქ+ ჯგუფის შემთხვევაში დამოკიდებულების პრობლემით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების შემთხვევაში პრობლემურია კონფიდენციალურობის საკითხი. ხშირ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საგამოძიებო უწყებაში მიდიან, მათ სჭირდებათ თანმხლები პირი, რადგან ფორმები არაა ადაპტირებული და ეს კონფიდენციალურობის პრინციპს არღვევს.

კვლევის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, თუ კანონი ექსპლიციტურად არ მოიზრებს ლგბტქ+ ჯგუფს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის კულტურული და ისტორიული წნეხის გამო ადამიანებს არ აქვთ იმის მოლოდინი, რომ თუ უწყებებს მიმართავს, ისინი დაიცავენ. კანონმდებლობა იმდენად სტერილურია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების მიმართ, რომ ადამიანების ნდობა იმასთან დაკავშირებით, რომ შემთავრებული და დამცავი ორდერებით დაცულები იქნებიან, ძალიან დაბალია.

*პრაქტიკაში მქონია შემთხვევა, როცა უკიდურეს მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა მიმართა პოლიციას და გამოიწერა შემთავრებული ორდერი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. მერე ეს ორდერი გააუქმა და მეტიც, ლამის დევნა*



*დაიწყო სამინისტრომ იმ ადამიანის, ვინც ორდერი გამოწერა, რადგან გვი და ბისექსუალ წყვილს ეხებოდა და შემაკავებელი ორდერის დაცვის სუბიექტი არ შეიძლება ყოფილიყო გვი მამაკაცი (იურიდიული სერვისის გამცემი პირი).*

გარდა ამისა, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ტრანსგენდერმა ქალმა მიმართა სასამართლოს დამცავ ორდერზე და ორი ინსტანციის სასამართლოსგან მიიღო პასუხი, რომ რადგან მდებარეობითი სქესი არ ეწერა პირადობის მოწმობაში, არ იყო უფლებამოსილი სუბიექტი ამ მექანიზმის გამოყენებისთვის, რის გამოც დამცავ ორდერზე მოთხოვნა არც განუხილავთ. აღნიშნული ქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება სტამბოლის კონვენციას, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

*შინაგან საქმეთა სამინისტროს გაცხადებული პოზიცია აქვს, რომ ტრანსგენდერი ქალი ქალი არ არის. სიტუაციით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი თუ ხდება და სჭირდებათ, რომ გენდერული იდენტობის ნიშნით 53 პრიმათი დაამძიმონ და ამ მტკიცებულებებს აგროვებენ, მაშინ ქალია, მაგრამ ორდერი რომ გამოიწეროს, რათა პრევენციული მექანიზმით დავიცვათ, მაშინ ქალი არ არის (იურიდიული სერვისის გამცემი პირი).*

კვლევაში მონაწილე იურისტების თქმით, რაზან პირველადი კომუნიკაცია ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქვთ, როდესაც საქმე სისხლის სამართლის წარმოებაში შედის, მათთან მჭიდრო კომუნიკაცია აკავშირებთ და სხვადასხვა ეტაპზე ცვლიან ინფორმაციას. მათი დაკვირვებით, ოჯახში ჩადენილი ძალადობის შემთხვევაში, გამოძიება მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რასაც თავისი მიზეზები აქვს.

*შემხვედრია საქმე, როდესაც დაზარალებულს უთქვამს, რომ მარტო ბოლო ძალადობის შესახებ მოაყოლეს პოლიციაში, ბოლო ფაქტთან დაკავშირებით, რაზეც მიმართა 112-ს და არ უკითხავთ წარსულშიც იყო თუ არა ამ მოძალადის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი. შესაბამისად, თვითონ არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ უნდა ესაუბრა წარსულში მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით და არ მიაწოდა ინფორმაცია პოლიციას. ეს შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ ოჯახში ჩადენილ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დანაშაულებს, არამედ სქესობრივ დანაშაულებსაც (იურიდიული სერვისის გამცემი პირი).*

უმეტეს შემთხვევებში ქალებს არ აქვთ ინფორმაცია ოჯახში ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის შესახებ. ბევრ მათგანს ჰგონია, რომ თუ სექსუალური ძალადობა მეუღლის მხრიდან ხდება, ეს დანაშაულად არ ითვლება. რესპონდენტების თქმით, ამის შესახებ მსხვერპლებს პოლიციაში არავინ უხსნის და არც კითხვებს უსვამენ. გარდა ამისა, არის ფაქტები, როდესაც ძალადობას ესწრებიან არასრულწლოვანებიც, თუმცა გამოძიება ამ ფაქტით ნაკლებად ინტერესდება და შესაძლოა, ეს ჩვენებაში არსად იყოს ნახსენები. ამის გამო არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს ექმნებათ შემდეგი პრობლემები: შესაძლებელია მსხვერპლმა მათ ორგანიზაციას მიმართა გამოძიების დასრულების შემდეგ, როდესაც საქმის არსებითი განხილვაა დაწყებული. ამ ეტაპზე მტკიცებულებების წარდგენა და დაზარალებულის დამატებითი გამოკითხვის მოთხოვნა ვერ მოხდება, ვერ ითხოვენ ბავშვების

გამოკითხვასაც. ბავშვების გამოკითხვა აუცილებელია, რადგან ისინი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არიან დაზარალებულები. ასევე, არასრულწლოვანის თანდასწრებით ჩადენილი ძალადობისთვის სასჯელი უფრო მძიმეა.

იურისტების თქმით, არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც დაზარალებული პოლიციას ატყობინებს დამატებითი მტკიცებულებების შესახებ, როგორც შეიძლება იყოს მიმოწერა, ვიდეო მასალა, მოწმეები, რომლებიც ფიზიკურ ძალადობას დაადასტურებენ, თუმცა პოლიციის მხრიდან არ ხდება სათანადო რეაგირება:

*რატომდაც პოლიცია უუბნება, რომ ახლა რა მტკიცებულებებიც გვაქვს სახეზე, ესეცაა საკმარისი იმისთვის, რომ გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს და არ გავაჩიანუროთ საქმე და წავიღოთ დროზე საქმე სასამართლოში. რა თქმა უნდა, ქალებს ჰგონიათ, რომ თუ პროცესი არ გაჩიანურდება და დროზე წავა საქმე სასამართლოში, მათთვისაც უკეთესია და ეთანხმებიან პოლიციას. მერე, რა თქმა უნდა, ამ მტკიცებულებების წარდგენა პრობლემაა (იურიდიული სერვისის გამცემი პირი).*

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოჯახურ დანაშაულებზე სხვა კატეგორიის საქმეებისგან განსხვავებული მტკიცებულებათა ერთობლიობაა, ამ ბოლო დროს სასამართლო ითხოვს დამატებით მტკიცებულებებსაც. ხშირ შემთხვევაში მხოლოდ დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენება და ერთი მტკიცებულება, შესაძლოა, საკმარისად არ ჩათვალოს და გამამართლებელი განაჩენი გამოიტანოს. 2019-2021 წლებში გამამართლებელი განაჩენების დაახლოებით ნახევარი გამოტანილია ოჯახური ძალადობის საქმეებზე (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022). თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ძალადობის ფაქტს ადასტურებს, პოლიცია ვალდებულია ეს მტკიცებულებები ამოიღოს და საქმეს დაურთოს, რაც ხშირად ასე არ ხდება ოჯახური ძალადობის შემთხვევების დაჩქარებული წესით განხილვის გამო. ზემოხსენებულ გამოწვევებთან ერთად, შეინიშნება ცვლილებები სწორი მიმართულებითაც. რესპონდენტების თქმით, მიყოლებით მეორე ფემიციდის ფაქტის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბევრი მიმართულებით დაიწყო ცვლილებების განხორციელება. მაგალითად, სრულიად განაზღვრა რისკების შეფასების კითხვარი და ქულების რაოდენობა.

ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგის სისტემა 2020 წლიდან შევიდა ძალაში და მას ტექნიკურად საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – 112 უზრუნველყოფს. სისტემა საქართველოში დაინერგა გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით, ევროკავშირისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან პარტნიორობით (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020). ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს შეუძლია მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად მოძალადის მიმართ დააწესოს ელექტრონული ზედამხედველობა. ოქმი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში შესაბამისმა სასამართლომ უნდა დაამტკიცოს. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დაწესდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, აგრეთვე შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს და ის ხორციელდება

არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2006). ელექტრონული მონიტორინგის დროს მოძალადეს სხეულზე უმაგრდება ელექტრონული სამაჯური, რომლის დახმარებითაც მოძალადის მიერ მსხვერპლთან ან მის სახლთან, სამსახურთან და სხვა ტერიტორიასთან მიახლოების კონტროლი ხდება. ელექტრონული ზედამხედველობა წესდება მაღალი რისკის საქმეებში, რისი ინდიკატორებიცაა: ძალადობის ისტორია, შემაკავებელი ან დამცავი ორდერების წარსული დარღვევა და იარაღის გამოყენება. GREVIO-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ იმ საქმეთა რაოდენობა, სადაც ელექტრონული სამაჯური გამოიყენება, დაბალია.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შემაკავებელ და დამცავ ორდერებთან დაკავშირებული მსჯელობა ნათელს ჰფენს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის და დისკრიმინაციის ნიშნით ჩაღვნილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სირთულეებს. კვლევიდან ჩანს, რომ აღნიშნული მექანიზმი, სხვა მექანიზმების მსგავსად საჭიროებს შემდგომ დახვეწას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშაობა გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ასევე, პასუხისმგებელი თანამშრომლების კომპეტენციისა და სხვადასხვა საკითხის მიმართ მგრძობიანობის ასამაღლებლად.

#### მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური პროკურატურაში მოქმედებს 2011 წლიდან. მისი ფუნქციებია სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას მოქალაქესა და პროკურორს (სასამართლოს) შორის კომუნიკაციის გამარტივება და საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით მისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება (საქართველოს პროკურატურა, 2023). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი გახდა პროცესის მონაწილე სუბიექტი. სამსახურის წარმომადგენლის თქმით, ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვნად გაზარდა მათი ფუნქცია-მოვალეობები და უფრო მეტი ბერკეტი მისცა დაზარალებულების მხარდასაჭერად.

კოორდინატორის სამსახურის კომპეტენციაში შედის დაზარალებულის, მოწმის ემოციური მხარდაჭერა, რაც შემდეგი მიმართულებებით შეიძლება გამოიხატებოდეს, მაგალითად, მსხვერპლის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა საქმის მსვლელობის შესახებ, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების დროს (მაგ. დაზარალებულის გამოკითხვის, საგამოძიებო ექსპერიმენტებში მონაწილეობის, დამნაშავის ამოცნობის დროს) მის გვერდით ყოფნა. ამ დროს კოორდინატორის მოვალეობაა მარტივად და გასაგებად აუხსნას დაზარალებულს პროცედურები და შეაფასოს მისი საჭიროებები. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ კოორდინატორებს უფლება აქვთ დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში და მოსამართლის თანხმობით დაესწრონ დახურულ სასამართლო პროცესებსაც, სადაც ხდება დაზარალებულის გამოკითხვა.

*პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლეს ნებართვა მოუცია, რომ უშუალოდ ტრიბუნასთან, ჩვენების მიცემის დროს მდგარიყო*

*კოორდინატორი და დაზარალებულის ხელი ეჭირა, წყალს აწვდიდა და ა.შ.  
(კოორდინატორის სამსახურის წარმომადგენელი).*

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ ინფორმაციის, ან მტკიცებულებების მოძიების პროცესში. ისინი ესწრებიან დაკითხვას. თუმცა არ აქვთ უფლება დასვან კითხვები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, თუმცა შეუძლიათ რეკომენდაცია მისცენ გამომძიებელს კითხვის ფორმულირებასთან ან დაზარალებულის შესვენების დროსთან დაკავშირებით. კოორდინატორები ასევე განსაზღვრავენ დაზარალებულის საჭიროებებს, ამისამართებენ ფსიქოლოგის, სამედიცინო, ადვოკატის (სამოქალაქო სამართლის კუთხით) მომსახურების მისაღებად. სამსახურის წარმომადგენლის თქმით, ისინი მუდმივად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კოორდინატორის სამსახური ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს ისეთი დაზარალებულების მიმართ, რომლებიც დამატებით რისკ ჯგუფს ან მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს. სამსახურის შიდა სახელმძღვანელოში გაწერილია, რომ კოორდინატორი პრიორიტეტულად უნდა ჩართოს პროკურორმა ისეთ საქმეში, სადაც დაზარალებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, ან არასრულწლოვანია, ან დისკრიმინაციის მოტივითაა დანაშაულის მსხვერპლი, ან რომელიმე სხვა მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს. კოორდინატორებს გავლილი აქვთ სპეციალიზაციის კურსები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან მუშაობასთან დაკავშირებით.

*რაღაც სერვისებია, რასაც პროკურატურა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ გასცემს, მაგალითად, ფსიქოლოგის დახმარება. ჩვენ რომ შევძლოთ, რომ ყველა დაზარალებული ვისაც ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება, მას შევთავაზოთ და გადავამისამართოთ, ამის ფუფუნება სამწუხაროდ არაა. ამიტომ ჩვენც გვიწევს, ვისაც ძალიან უკიდურესად სჭირდება ჯერ მათ შევთავაზოთ ეს სერვისი და შემდეგ უკვე ვისაც ნაკლებად სჭირდება (კოორდინატორის სამსახურის წარმომადგენელი).*

ერთ-ერთი ლგბტ ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, კოორდინატორის სამსახურის აქტიური ჩართულობა ლგბტ ჯგუფთან დაკავშირებულ საქმეებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, ისინი აქტიურად ცდილობენ პროკურატურას გამოაყენებინონ ეს მექანიზმი და შეინარჩუნონ აქტიური კომუნიკაცია კოორდინატორებთან. მისი თქმით, კოორდინატორებმა იციან, რომ ორგანიზაცია მზადაა მსხვერპლის საჭიროებების შესაბამისად პროცესში ჩასართველად და მის გაძლიერებაზე სამუშაოდ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის პრობლემურია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიდგომა, რომლის მიხედვითაც კოორდინატორის საქმიანობა საკმარისად მიიჩნევა, ხოლო გარკვეული ჯგუფებისთვის სერვისის მიმწოდებლებად არასამთავრობო ორგანიზაციები მოიაზრებიან. მათი თქმით, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ დაინახოს სიკეთე, რომელიც მსხვერპლის მხარდამჭერ სერვისებს მოაქვს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური ამოქმედდა 2019 წლიდან ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამომძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ფარგლებში. კოორდინატორებს ევალებათ მარტივი და გასაგები ენით მიაწოდონ ადამიანებს პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია და

დაეხმარონ საგამოძიებო მოქმედების ყველა ეტაპზე, ამასთან მიაწოდონ სერვისებთან დაკავშირებული ინფორმაცია. კოორდინატორის ჩართვა ხდება განსაკუთრებული სირთულის საქმეებზე, სადაც მსხვერპლთან თანამშრომლობის კუთხით გამოწვევებია.

*კოორდინატორების მოვალეობაა, რომ გამოძიების განმავლობაში დაიცვან მსხვერპლის ინტერესები. აქ იგულისხმება, რომ მსხვერპლს შეუმსუბუქონ სამართალწარმოების ტრავმები და მეორე – დააკვირონ სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისთან. არასრულწლოვანის შემთხვევაში ავტომატურად ერთვება კოორდინატორი. თუ საქმე ეხება ზრდასრულ ადამიანს, მე პირადად გამოცდილება მქონია, რომ მე თვითონ მომიტხოვია, მითქვამს, რომ მსხვერპლს სჭირდება კოორდინატორის მომსახურებით სარგებლობა, იმიტომ, რომ პროაქტიულად არავის არ შემოუთავაზებია და შემდეგ დაგკავშირებია კოორდინატორი და მისთვის გვითქვამს, რომ გვაქვს ფსიქოლოგის საჭიროება ან კრიზისულ ცენტრთან გჭირდება გადამისამართება და იქნებ მოგვხმაროთ ამაში (იურისტი).*

კვლევის მონაწილეების თქმით, ძალადობაგამოვლილ ადამიანებს ნაკლებად აქვთ პოლიციის მიმართ ნდობა. მათთვის რთულია საგამოძიებო უწყებებთან კომუნიკაცია. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მსხვერპლებს ძალიან დიდი სიხშირით უწევთ პოლიციის განყოფილებაში მისვლა, რაც მათთვის სტრესის წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებაა მინიმუმამდე დაიყვანოს მსხვერპლის განყოფილებაში მიყვანა, მისი საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა, პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლს მრავალჯერ მოუწია განყოფილებაში განმეორებით მისვლა, რადგან პასუხისმგებელმა პირებმა პირველ ჯერზე ყველა საჭირო კითხვა არ დაუსვეს, რაც კვალიფიკაციის პრობლემაზე მიუთითებს.

*ყოფილა შემთხვევა, რომ მსხვერპლს, რომელსაც უმძიმესი დაზიანებები ჰქონდა მიყენებული, გამოძიებელი ეუბნებოდა, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად უნდა გაჰყოლოდა იმ ადგილას, სადაც მოხდა მასზე ძალადობა. ეს მსხვერპლისთვის იყო უდიდესი გამოწვევა, რადგან ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო ემოციურად. ვუხსნიდით, რომ არ იყო აუცილებლობა საგამოძიებო ექსპერიმენტის და არც მსხვერპლის იმ ადგილას მიყვანის. რომ ვერ დავარწმუნე, იძულებული გავხდი წავსულიყავი და მომეძებნა მოწმე, რომელმაც დაადასტურა, რომ იმ ადგილზე მოხდა ძალადობის შემთხვევა. რაც არ იყო ძნელი, მე მოვახერხე შეზღუდული რესურსით. ადვოკატებს არ აქვთ იმხელა რესურსი, რაც შსს-ს შეიძლება ჰქონდეს. მათ ნახევარ საათში შეეძლოთ ამ პრობლემის მოგვარება, მაგრამ არ გააკეთეს (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).*

რესპონდენტების თქმით, ძალიან რთულია ამ პირობებში მსხვერპლისგან პოლიციის ნდობის მოთხოვნა. კოორდინატორების ჩართულობა საკმარისად არ ხდება და მსხვერპლთან კომუნიკაცია ხშირად ზედმეტად ფორმალური, იურიდიული ენით მიმდინარეობს, რაც სრულ უნდობლობას იწვევს მსხვერპლის მხრიდან.

*ძალიან ხშირად ამბობენ, რომ იმდენად გავწვალდი, რომ მერჩივნა საერთოდ ხმა არ ამომქედო ამ ძალადობაზე და ჩემთვის ჩემად ვყოფილიყავი (იურისტი).*

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისთვის სახალხო დამცველის მიერ 2023 წლის 9 იანვარს წარდგენილი ალტერნატიული ანგარიშის მიხედვით, ძალადობის საქმეებში კოორდინატორების ჩართულობა არასაკმარისია, ხოლო დასაქმებული კოორდინატორების რაოდენობა დაბალია (Public Defender of Georgia, 2023). იმავე ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს პროკურატურაში დასაქმებულმა 18 კოორდინატორმა იმუშავა ქალთა მიმართ ძალადობის 119 საქმეზე და ოჯახში ძალადობის 1706 საქმეზე, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულმა 14 კოორდინატორმა – ქალთა მიმართ ძალადობის 108 და ოჯახში ძალადობის 1682 საქმეზე (იქვე, გვ. 7). ამგვარი გამოწვევების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების უფრო აქტიური და ხშირი ჩართულობა ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებში, იმისათვის, რომ არ მოხდეს მსხვერპლის რეტრავმატიზაცია და მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუარესება.

### მსხვერპლის გრძელვადიანი გაძლიერება

დღესდღეობით საქართველოში მსხვერპლის რეაბილიტაციის პროცესი ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია. რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი რესურსები არაა საკმარისი მსხვერპლთა კომპლექსური საჭიროებების საპასუხოდ. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გამოწვევები იმდენად მძიმეა, რომ რთულია თავშესაფრიდან გამოსულმა ადამიანმა შეძლოს ღირსეული ანაზღაურებისა და საცხოვრისის მოპოვება, რის გარეშეც მსხვერპლის გაძლიერება წარმოუდგენელია. მოკლევადიანი სერვისები ეფექტურია გადაუდებელი მხარდაჭერის მისაღებად, თუმცა, აუცილებელია სახელმწიფოს რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჰოლისტური და მსხვერპლის საჭიროებებზე მორგებული მიდგომა ჰქონდეს, რაც სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლების კოორდინაციას და აქტიურ თანამშრომლობას საჭიროებს. გრძელვადიანი გაძლიერებისთვის აუცილებელია ეკონომიკურ, სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ სერვისებზე წვდომა შესაბამისი ხანგრძლივობით ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფო სერვისების კუთხით არსებული ხარვეზების დასაბალანსებლად, თუმცა აუცილებელია სახელმწიფო უფრო პროაქტიული იყოს ამ მიმართულებით და იმუშაოს არსებული სიცარიელების შესავსებად. აუცილებელია სახელმწიფომ მეტი რესურსი ჩადოს მსხვერპლზე ორიენტირებული ინიციატივებისა და გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამების მხარდასაჭერად. მსხვერპლის გაძლიერება დინამიკური პროცესია, რაც საჭიროებს მუდმივ დიალოგს, თანამშრომლობას და ინტერვენციებს ცვლილებების მისაღწევად.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საჭიროებების შესწავლა და მათ წინაშე არსებული კომპლექსური საჭიროებების აღმოფხვრაზე მუშაობა. მაგალითად, ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში აუცილებელია გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის გამართვა, რომელიც სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი იქნება, რაც ნიშნავს

თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებულ მექანიზმს. იურისტების თქმით, ლგბტ ჯგუფის შემთხვევაში ასევე აუცილებელია სამოქალაქო პარტნიორობისა და ინტიმური პარტნიორის დამატება ოჯახში ძალადობის კანონმდებლობაში. აუცილებელია მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი ძალადობის მსხვერპლი ქალების ეკონომიკური გაძლიერების პრიორიტეტად ქცევა, რადგან არსებული სერვისები და გადამზადების კურსები არ უზრუნველყოფს მსხვერპლების ავტონომიას.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, ქვეყანაში არ არის ოფიციალური პროგრამა, რომელიც ძალადობის მსხვერპლი ქალების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე მუშაობს. დღესდღეობით არსებული სერვისები ფრაგმენტულია და მხოლოდ გარკვეული პერიოდით და ისიც არასრულყოფილად ფარავს მსხვერპლის საჭიროებებს, რაც რეაბილიტაციისთვის საკმარისი არაა. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე არსებულ თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში აქვთ სასწავლო კურსები ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის, თუმცა ეს კურსები უმეტეს შემთხვევებში არაა მორგებული შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს:

*უმეტესობას ასწავლიან კულინარიას, კონდიტერიას ან სხვა ასეთ საქმეს. დროს უნდა მივყვით ცოტა. რა თქმა უნდა, ესეც ძან მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ ძან რთულია რომ შენი ბიზნესი დაიწყო თავშესაფრიდან გამოსვლის შემდეგ და უფრო პრაქტიკული და პრაგმატული პროფესიების შეძენაც შეიძლება, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში არის დაუფლებადი. ბევრი არის ასეთი. ცოტა დროსაც უნდა მოერგოს ეს სერვისი. რა არის მოთხოვნა, რაში გადაუხდიან იმდენ ფულს, რომ დამოუკიდებლად შეძლოს ცხოვრების გაგრძელება (სოციალური მუშაკი).*

**მნიშვნელოვანია, რომ 2022 წლის ნოემბერში ამოქმედდა დადგენილება, რომელიც არეგულირებს ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ფემიციდის მსხვერპლი ქალების შვილების მიერ სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების საკითხს.** ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ითვლება პირი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის დანაშაულში დაზარალებულადა ცნობილი და რომელმაც უშუალოდ მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაიცვალა.<sup>8</sup> სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ზიანის ანაზღაურება ვერ ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის მხრიდან. ანუ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ დამნაშავემ ზიანი უნდა აანაზღაუროს და ეს გადაწყვეტილება ექვსი თვის განმავლობაში ვერ აღსრულდება, მსხვერპლს მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მიმართოს სახელმწიფოს. მსხვერპლს მოთხოვნა შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სამი წლის განმავლობაში. გასაცემი თანხის ზედა ზღვარია 10,000 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე მსხვერპლს გადაუხდის თანხის 40%-ს მაინც, მაშინ მსხვერპლი კარგავს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

<sup>8</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე, 09/11/2022, ხელმისაწვდომია:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5611339?publication=0>



2022 წელს შევიბუშავეთ ძალადობის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემის მექანიზმი. ჭირია 10,000 ლარი. სასამართლო განსაზღვრავს გადახდის ვადებს და წესებს. თუმცა ჯერ უნდა იყოს დასრულებული სისხლის სამართლის საქმე. ჯერ ეკისრება მოძალადეს, თუ არ გადაიხდის გადახდის აღსრულებაში და აღსრულებაში 6 თვის მერე თუ ვერ მოხდა მოძალადის მიერ კომპენსაციის გაცემა, ის მომართავს სასამართლოს და სასამართლო განსაზღვრავს გაცემის წესს. ფემიცილის შემთხვევაში სააგენტოს მიმართვის დროს პირდაპირ გაიცემა 10,000-მდე კომპენსაცია არასრულწლოვანებზე მათ კანონიერ წარმომადგენლებზე (ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელი).

თუმცა, ერთჯერად კომპენსაციასთან ერთად აუცილებელია მდგრად ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნვაც, რაც ძალადობრივ გარემოში დაბრუნების შანსებს ამცირებს. რესპონდენტების თქმით, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომ ინდივიდუალური მიდგომა გამოიყენოს:

შეიძლება ვიდაცისთვის მუშაობდეს ქირით უზრუნველყოფა და ეს სრულიად საკმარისი იყოს, მაგრამ ვიდაცისთვის მულტიფუნქციური ჩარევა იყოს საჭირო, ვიდაცას შეიძლება ჰოსპიტალიზაცია სჭირდებოდეს, ვიდაცას შეიძლება გრძელვადიანი ფსიქოლოგიური მომსახურება სჭირდებოდეს, გააჩნია რასთან გვაქვს საქმე. ადამიანური რესურსია საჭირო, ვინც ამას გამოიკვლევს და დაგეგმავს და მერე მხარდამჭერი მომსახურებებიც უნდა მივაცოლოთ ამას. გრძელვადიანად ერთი სერვისი ვერ გადაწყვეტს თუ სხვადასხვა ინსტიტუტების დონეზე ხელვა არ გაფართოვდა (სოციალური მუშაკი).

ძალადობის მსხვერპლთათვის არსებობს მუნიციპალური სერვისები. ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც მერიას აქვს (მათ შორის თბილისის მერიას), მაგრამ ეს უშუალოდ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არაა, ესაა სოციალურად დაუცველებისთვის. დაფინანსება არის 300 ლარი მხოლოდ და ამ თანხით ბინის ქირაობა არარეალურია (სოციალური მუშაკი).

მსხვერპლის გრძელვადიანი გაძლიერებისთვის აუცილებელია მუნიციპალური სერვისების გაფართოება და ისეთი პროგრამების განვითარება, როგორცაა ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც თანადაფინანსების შესაძლებლობასაც უნდა გულისხმობდეს. დღესდღეობით ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს თავშესაფრით უზრუნველყოფის და დასაქმების საკითხი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საცხოვრებელი ადგილიდან წილი ქალს ეკუთვნის, ამ წილის მიღებაც ფინანსურ რესურსთანაა დაკავშირებული, რადგან სასამართლო ასეთ სარჩელს ბაჟის გარეშე არ იღებს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მსხვერპლის რეაბილიტაციის მოქმედი სისტემა არაა საკმარისი მსხვერპლთა მრავალმრიანი საჭიროებების საპასუხოდ. რესურსების სიმცირე და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები ართულებს მსხვერპლთა გაძლიერების პერსპექტივას თავშესაფრის დატოვების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოკლევადიანი და დროებითი სერვისის მიწოდებისას,

აუცილებელია ყოველმხრივი მიდგომის შემუშავება, რაც სხვადასხვა ინსტიტუტს შორის მუდმივ კოორდინაციას მოითხოვს.

## დასკვნები და რეკომენდაციები

### კრიზისული ცენტრები

კრიზისულ ცენტრებს, თავშესაფართან და ძალადობის ცხელ ხაზთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი აქვთ მრავალგანზომილებიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის პროცესში. კრიზისული ცენტრის მომსახურება მოიცავს ფსიქო-სოციალურ, სამედიცინო, სამართლებრივ და თბილისის დაწესებულების შემთხვევაში, სადღეღამისო სერვისსაც. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს შეზღუდული რესურსები, არასაკმარისი გეოგრაფიული დაფარვა, მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფოს ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობა, ასევე უფრო მდგრადი და მსხვერპლის გრძელვადიან გაძლიერებაზე მიმართული სამუშაოების არარსებობა.

**რეკომენდაცია:** *აუცილებელია კრიზისული ცენტრებზე მისაწვდომობის გაზრდა სოფლად და შორეულ რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია სპეციალიზებულ სერვისებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირება და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ არსებულ უნდობლობაზე მუშაობა.*

### თავშესაფრები

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე არსებული თავშესაფრები საცხოვრისთან ერთად, სხვადასხვა ტიპის სერვისებს სთავაზობენ ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს. სერვისის მისაწვდომობის მხრივ მნიშვნელოვანი ბარიერები აქვთ ლგბტქი, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს და ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ადამიანებს. არ არსებობს გრძელვადიანი გაძლიერების პროგრამები. კვლევაში ასევე ჩანს თავშესაფრებში ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული პრობლემა, რაც სისტემურ გამოწვევებზე მიუთითებს და ხელს უშლის მსხვერპლების ეფექტურ მხარდაჭერას.

**რეკომენდაცია:** *მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს მარგინალური ჯგუფებისთვის არსებულ ბარიერებზე და შემუშავდეს კულტურულად სენსიტიური, მსხვერპლის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის სტრატეგია. ამასთან, უნდა მოხდეს ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ გამოწვევებზე მუშაობა. თანამშრომლების გადაშვადებასთან ერთად, აუცილებელია მათთვის ადეკვატური სამუშაო პირობების შექმნა გადაშვადებული კადრის შენარჩუნებისთვის.*

### ცხელი ხაზები

112-ის ცხელი ხაზი, 112-ის აპლიკაცია და 11606 ცხელი ხაზი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ძალადობის შემთხვევების მართვაში, თუმცა ძალადობის მსხვერპლი ქალები არ არიან საკმარისად ინფორმირებულები ცხელი ხაზის არსებობისა და მათთვის რელევანტური ფუნქციების შესახებ. ამასთან, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ცხელი ხაზის ეფექტიანობასთან დაკავშირებული უნდობლობა, კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული შიში მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის. ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, ქალები გაცილებით ეფექტურად ახერხებენ არსებული სერვისით სარგებლობას.

**რეკომენდაცია:** *ცხელი ხაზის ეფექტურობის გასაზრდელად, რეკომენდებულია სხვადასხვა კამპანიების მეშვეობით მოსახლეობის ინფორმირება არსებულ ფუნქციებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინფორმაციის გავრცელების და ამ სერვისის მიმართ ნდობის გაჩენისთვის. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ცხელი ხაზის მისაწვდომობასა და პირადი ინფორმაციის დაცვაზე.*

### **არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი სერვისები**

არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებენ ძალადობის მსხვერპლთა ძირითადი სერვისებით უზრუნველსაყოფად. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ამ ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი სამართლებრივი, ფსიქო-სოციალური, თავშესაფრის და სხვა მხარდაჭერი სერვისები კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფო სერვისების სისტემური ხარვეზების დასაბალანსებლად. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციები იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომას და მსხვერპლთა საჭიროებების სხვადასხვა ნიუანსს ითვალისწინებს. მათ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და ცოდნა აქვთ. მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული შრომა მნიშვნელოვანია როგორც კრიზისული სიტუაციების გადაუდებელი მართვისთვის, ისე მსხვერპლთა გრძელვადიანი გაძლიერებისთვის.

**რეკომენდაცია:** *დონორების მხრიდან რეკომენდებულია მეტი რესურსების მიმართვა არასამთავრობო ორგანიზაციების გასაძლიერებლად, ვინაიდან ისინი წამყვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის კუთხით. ამასთან, აუცილებელია სამთავრობო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გამყარებაზე მუშაობა, რაც მსხვერპლთა მხარდაჭერის ჰოლისტური მიდგომის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.*

### **სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის კომუნიკაციასთან დაკავშირებული გამოწვევები**

შემაკავებელი და დამცავი ორდერი განსაზღვრავს მსხვერპლის დაცვის დროებით ღონისძიებებს და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლებს ექმნებათ პრობლემა სამართალდამცავებთან კომუნიკაციის დროს, რაც არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების შემთხვევაში შესაძლოა განპირობებული იყოს ძირითადად ენობრივი ბარიერით, ხოლო ლგბტქ ჯგუფის შემთხვევაში – დამოკიდებულების პრობლემით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან პრობლემურია კონფიდენციალურობის

საკითხი. ხშირად, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საგამოძიებო უწყებაში მიდიან, მათ სჭირდებათ თანმხლები პირი, რადგან გარემო არაა ადაპტირებული და ეს კონფიდენციალურობის პრინციპს არღვევს.

**რეკომენდაცია:** მნიშვნელოვანია, სამართალდამცავების სენსიტიურობასა და კულტურულ კომპეტენციაზე მუშაობა, რაც აუცილებელია სხვადასხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენელთა მხარდასაჭერად. ეს ჯგუფები შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა კულტურული და ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანებს, ლგბტქ ჯგუფის წარმომადგენლებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. მათთან ეფექტური კომუნიკაციისთვის მზაობა აუცილებელია ინკლუზიური მხარდაჭერის სისტემის შესაქმნელად.

### **მსხვერპლისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ჩართულობა**

მსხვერპლის ინფორმირებისა და მისი საჭიროებების განსასაზღვრად მნიშვნელოვანია მსხვერპლისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ჩართულობა, ეს სამსახური ფუნქციონირებს როგორც პროკურატურაში, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტში, თუმცა მათი ჩართულობა, დასაქმებულთა მცირე რაოდენობის გამო, არასაკმარისი და ფრაგმენტულია.

**რეკომენდაცია:** რეკომენდებულია დასაქმებული კოორდინატორების რაოდენობის გაზრდა, მათი მუდმივი გადაშვადება და ადეკვატური სამუშაო პირობების შექმნა გადაშვადებული კადრის შენარჩუნებისთვის. მნიშვნელოვანია კოორდინატორების პროაქტიული ჩართულობის უზრუნველყოფა საქმის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების შემთხვევაში.

### **მსხვერპლთა გრძელვადიანი გაძლიერების სტრატეგიები**

რესურსების სიმცირე და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები ართულებს მსხვერპლთა გაძლიერების პერსპექტივას თავშესაფრის დატოვების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოკლევადიანი და დროებითი სერვისის მიწოდების კუთხით, არ არსებობს მსხვერპლთა გრძელვადიანი გაძლიერების ეფექტური სტრატეგია.

**რეკომენდაცია:** მნიშვნელოვანია რესურსების გამოყოფა ძალადობის მსხვერპლთა გრძელვადიანი გაძლიერების პროგრამებისთვის. აქცენტი უნდა გაკეთდეს ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებზე, რომლებიც ძალადობაგამოვლილი ქალების საჭირო უნარებით აღჭურვას შეუწყობს ხელს და შესაბამისობაში იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

### **გამოყენებული წყაროები**

GREVIO . (2022). საბაზისო შეფასების ანგარიში - საქართველო. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა

- ჯგუფი (GREVIO). სტრასბურგი: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის სამდივნო.
- UN Women. (2016, სექტემბერი 6). *თბილისში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის პირველი კრიზისული ცენტრი გაიხსნა*. Retrieved from UN Women საქართველო: <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/09/the-frist-crisis-center-for-the-victims-of-domestic-violence-has-been-opened-in-tbilisi>
- ჩიჩუა, ნ. (2018, სექტემბერი 3). *ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების სისტემა ამოქმედდა – რას გულისხმობს ეს?* Retrieved 06 28, 2023, from Netgazeti: <https://netgazeti.ge/news/301812/>
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია . (2020, სექტემბერი 8). *საქართველოში მაღალი რისკის მოძალადეების მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა ამოქმედდა*. Retrieved ივლისი 24, 2023, from UN Women საქართველო : <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2020/09/electronic-surveillance-of-high-risk-perpetrators-launches-in-georgia>
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2016, სექტემბერი 6). *თბილისში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის პირველი კრიზისული ცენტრი გაიხსნა*. Retrieved from UN Women საქართველო: <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/09/the-frist-crisis-center-for-the-victims-of-domestic-violence-has-been-opened-in-tbilisi>
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2021). *ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი*. თბილისი.
- პატარაია, ბ., & ურჩუხიშვილი, გ. (2020). *ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სერვისების მიწოდებისას არსებული გამოწვევები კოვიდ-19-ის დროს*. თბილისი: საფარი.
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2022, 10 12). *რატომ არ ნიშნავს გამაძრთლებელი განაჩენების ზრდა სასამართლო დამოუკიდებლობას?* . Retrieved 10 2023, from სოციალური სამართლიანობის ცენტრი: <https://socialjustice.org.ge/ka/products/ratom-ar-nishnavs-gamamartlebeli-ganachenebis-zrda-sasamartlo-damoukideblobas>
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. (2023). *კრიზისული ცენტრები*. Retrieved 06 2023, from ATIPfund Georgia - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: <http://atipfund.gov.ge/geo/static/238/krizisuli-centri>
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. (2023). *კრიზისული ცენტრები*. Retrieved 06 2023, from ATIPfund - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: <http://atipfund.gov.ge/geo/static/238/krizisuli-centri>
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. (2023). *ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები*. Retrieved 06 2023, from ATIPfund - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: <http://atipfund.gov.ge/geo/list/show/357-sighnaghis-odjakhshidzaladobis-mskhverplta-momsakhurebis-datsesebuleba-tavshesafari>
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. (2011, 05 11). *ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია*. Retrieved 07 03, 2023, from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>

- საქართველოს სახალხო დამცველი. (2020). *ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში*. თბილისი.
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2021). *ქალები და მობილობა - ქალთა ყოველდღიური გადაადგილების გენდერული ასპექტები*.
- საქართველოს პროკურატურა. (2023). *მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური*. Retrieved ივლისი 2023, from საქართველოს პროკურატურა: <https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsaxuri>
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე . (2019). *საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება #11 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ* . Retrieved 07 2023, from <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4472026?publication=0>
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2006, 09 06). *საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ*. Retrieved 07 23, 2023, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22#!>
- EIGE. (2023). *Risk assessment and risk management*. Retrieved 08 02, 2023, from European Institute of Gender Equality: [https://eige.europa.eu/gender-based-violence/risk-assessment-risk-management/principle-2-adopting-victim-centred-approach?language\\_content\\_entity=en](https://eige.europa.eu/gender-based-violence/risk-assessment-risk-management/principle-2-adopting-victim-centred-approach?language_content_entity=en)
- Elliot, D. E., Bjelajac, P., Falot, R. D., Markoff, L. S., & Reed, B. G. (2005). Trauma-informed or trauma-denied: Principles and implementation of trauma-informed services for women. *Journal of community psychology*, 33(4), 461-477.
- GCRT. (2023). *GCRT-ის შესახებ* . Retrieved 06 2023, from GCRT - წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი : <http://gcrt.ge/ka/about>
- Madrigal-Borloz, V. (2019). *Madrigal-Borloz, Victor. "Visit to Georgia: report of the Independent Expert on Protection against Violence and Discrimination based on Sexual Orientation and Gender Identity*. United Nations.
- Phillips, H., Lyon, E., Fabri, M., & Warshaw, C. (2015). *Promising Practices and Model Programs: Trauma-Informed Approaches to Working with Survivors of Domestic and Sexual Violence and Other Trauma*. National Center on Domestic Violence, Trauma & Mental Health.
- Public Defender of Georgia. (2023). *Written Submission for 84th session of the Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW)*.